186
1984

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი — დეკემბერი

1983 წ.

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1983 წ.

## შინაარსი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

76. სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფის შესახებ

77. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნ. ნ. კეცხოველის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

78. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 22 აგვისტოს № 818 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

79. ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

80. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემაში საწარმოო გაერთიანება „საქსოფლრემონტის“ შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 მარტის № 158 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე.
81. საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობისათვის ერთიანი დოკუმენტის შემოღების შესახებ
82. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საავტიაქო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ
83. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 16 სექტემბრის № 911 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
84. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ
85. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 29 სექტემბრის № 954 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
86. საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულებაში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ
87. საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ
88. ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
89. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 21 ოქტომბრის № 1015 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
90. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 76 სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს განუხრელ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 7 ივლისის № 607 დადგენილება „სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის შესახებ“.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, რაიონულ (საქალაქო) კომიტეტებს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკურ (ასსრ), საოლქო და რაიონულ (საქალაქო) აგროსამრეწველო გაერთიანებებს განახორციელონ სისტემატური მუშაობა აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი სრულყოფისათვის, უზრუნველყონ ეკონომიკური მუშაობის გაძლიერება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მათ მომსახურე საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ფართოდ დანერგონ ქმედითი შინასამეურნეო ანგარიში და ბრიგადული იჯარა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, გეგმაზომიერად და მიზანდასახულად განახორციელონ საგეგმო, ტექნოლოგიური, საფინანსო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების, რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციის ღონისძიებანი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
დ. ქართველიშვილი

ქ. თბილისი, 1983 წ. 1 ნოემბერი; № 711

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 607

**1983 წლის 7 ივლისი**

მოსკოვი, კრემლი

## სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის სახსოფლტექნიკას, პარტიის საოლქო, სამხარეო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ (ასსრ) და რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს მიიღონ ზომები აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი სრულყოფისათვის, ამასთან უზრუნველყონ, რომ:

ამაღლდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების მომსახურე საწარმოთა და ორგანიზაციათა პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის, სამუშაოთა შესრულებისა და მომსახურების გაწევის ხარისხისა და ვადებისათვის;

გაძლიერდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების მომსახურე საწარმოთა და ორგანიზაციათა, აგრეთვე დამამზადებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა დაინტერესება მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევით და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებით.

2. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოქმედი შესასყიდი ფასების და სოფლის მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობისათვის სარეალიზაციო სამრეწველო პროდუქციის საბითუმო ფასების თანაფარდობის (რომელიც განისაზღვრება სოფლის მეურნეობისათვის მისაწოდებელი სამრეწველო პროდუქციის სახალხო-სამეურნეო ეფექტიანობის გათვალისწინებით) შეცვლის, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებისათვის გაწეული მომსახურების ფასდებებისა და ტარიფების მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შეაქვს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მორიგი ხუთწლედის გეგმის პროექტის წარდგენასთან ერთად წინადადებანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასებისა და მათი დანამატების შესახებ.

მორიგი ხუთწლედისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების დონის განსაზღვრისას იხელმძღვანელოს იმით, რომ საჭიროა ერთობლივი რენტაბელობის დარგობრივი ნორმატივის უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის დაგეგმილი მოცულობის, მეურნეობათა ფონდაღჭურვილობის, შრომის ანაზღაურების დონის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სხვა საგეგმო დანახარჯების გათვალისწინებით. ამასთან მხედველობაში იქონიოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი და საბრუნავი ფონდების გამოყენების გაუმჯობესება, მატერიალური დანახარჯების შემცირება.

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით შემოიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მორიგი ხუთწლედის გეგმის პროექტის წარდგენის დაწესებულ ვადამდე 3 თვით ადრე წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთობლივი რენტაბელობის ნორმატივის შესახებ.

3. სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასებისა და სოფლის მეურნეობისათვის სარეალიზაციო სამრეწველო პროდუქციის საბითუმო ფასების თანაფარდობისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ და სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელონ, მოყოლებული 1983 წლიდან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული მეთოდიკის მიხედვით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების, სოფლის მეურნეობისათვის სარეალიზაციო სამრეწველო პროდუქციის საბითუმო ფასების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებისათვის გასაწევი მომსახურების ფასდებებისა და ტარიფების ინდექსების გამოანგარიშება.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ შეტყობინებული მონაცემების საფუძველზე წარუდგინოს ყოველწლიურად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომი-

ტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტს შესასყიდი ფასების გადიდებასთან და სოფლის მეურნეობისათვის სარეალიზაციო სამრეწველო პროდუქციის გაძვირებასთან, მომსახურების ფასდებებისა და ტარიფების გადიდებასთან დაკავშირებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოორგანიზაციების დამატებითი შემოსავალ-გასავლის გაანგარიშებანი.

4. დაწესდეს, რომ, მოყოლებული 1983 წლიდან, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების მომსახურე საწარმოთა და ორგანიზაციათა და დამამზადებელ საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის შეფასებისას ძირითადი მაჩვენებლებია:

სოფლტექნიკის რაიონული (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებებისა და განყოფილებებისათვის — სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მატება და შრომის ნაყოფიერების ამაღლება მეურნეობებში, რომლებსაც ემსახურებიან, წინა 5 წელიწადში მიღწეულ დონესთან შედარებით, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოორგანიზაციების ყოველგვარი საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების ხარისხი და მათი განხორციელებისათვის დანახარჯების შემცირება;

სოფლქიმიის რაიონული (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებებისათვის, გაერთიანება „საქსოფლქიმიის“ სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის — მემცენარეობის პროდუქციის წარმოების მატება მეურნეობებში, რომლებსაც ემსახურებიან, წინა 5 წელიწადში მიღწეულ დონესთან შედარებით. მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და ქიმიზაციის სხვა საშუალებების ნაზღაურობა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების აგროქიმიური მომსახურებისათვის ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი და მათი განხორციელებისათვის დანახარჯების შემცირება;

წყალსამეურნეო სარემონტო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებისა და „რწყვის“ რაიონული საწარმოო გაერთიანებებისათვის — მელიორირებულ მიწებზე მემცენარეობის პროდუქციის წარმოების მატება მეურნეობებში, რომლებსაც ემსახურებიან, წინა 5 წელიწადში მიღწეულ დონესთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის გზით, ახლად ათვისებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების საპროექტო მოსავლიანობის მიღწევა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების მომსახურებისათვის ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება, წყლისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენება;

დამამზადებელი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის — სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულება, შესყიდვის მოცულობის მატება წინა 5 წელიწადში მიღწეულ დონესთან შედარებით, დამზადებული პროდუქციის დაცვა-შენახვის უზრუნველყო-

ფა, პროდუქციის დროულად გადამუშავება და მომხმარებელთათვის ფართო ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდება, პროდუქციის დამზადების, შენახვისა და გადამუშავების დანახარჯების შემცირება.

5. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების მომსახურე საწარმოებსა და ორგანიზაციებში მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნის ნორმატივები დაწესდეს შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

სოფლტექნიკის რაიონულ (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებებსა და განყოფილებებში — სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მატება მეურნეობებში, რომლებსაც ემსახურებიან, წინა 5 წელიწადში მიღწეულ დონესთან შედარებით, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების ყოველგვარი საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურებისათვის დანახარჯების შემცირება;

სოფლქიმიის რაიონულ (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებებში, გაერთიანება „საქსოფლქიმიის“ სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში — მემცენარეობის პროდუქციის წარმოების მატება მეურნეობებში, რომლებსაც ემსახურებიან, წინა 5 წელიწადში მიღწეულ დონესთან შედარებით, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების აგროქიმიური მომსახურებისათვის ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება, შესრულებული სამუშაოებისათვის დანახარჯების შემცირება;

წყალსამეურნეო სარემონტო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებსა და „რწყვის“ რაიონულ საწარმოო გაერთიანებებში — მელიორირებულ მიწებზე მემცენარეობის პროდუქციის წარმოების მატება მეურნეობებში, რომლებსაც ემსახურებიან, წინა 5 წელიწადში მიღწეულ დონესთან შედარებით, სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის ზრდის გზით, ხოლო საექსპლუატაციოდ ახალგადაცემულ ფართობებზე — გეგმასთან შედარებით, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების მომსახურებისათვის ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება, შესრულებული სამუშაოებისათვის დანახარჯების შემცირება.

დაწესდეს, რომ დამამზადებელი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ძირითად საქმიანობასთან ერთად ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვას საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა მიხედვით, მატერიალური წახალისების ფონდების შესაქმნელად ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია ამ პროდუქციის შესყიდვის გეგმის შესრულება.

6. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სახსოფლტექნიკამ, სსრ კავშირის დამზადების სამინისტრომ და სსრ კავშირის

სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვას, შეიმუშაონ წინადადებანი სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის (წახალისების ფონდების) შექმნისა და ხარჯვის ძირითად დებულებებში საჭირო ცვლილებათა შეტანის შესახებ ფონდწარმომქმნელი მაჩვენებლების ცვლილების გათვალისწინებით და წარუდგინონ ისინი დასამტკიცებლად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი მეთოდების გამოყენების საკითხთა საუწყებათაშორისო კომისიას.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს წყალსამეურნეო სარემონტო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებსა და „რწყვის“ რაიონულ საწარმოო გაერთიანებებში მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის (წახალისების ფონდების) შექმნისა და ხარჯვის ძირითად დებულებათა პროექტი და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ზემოაღნიშნულ საუწყებათაშორისო კომისიას.

7. დაწესდეს. რომ სოფლტექნიკისა და სოფლქიმიის რაიონული (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებებისა და განყოფილებების მიერ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოორგანიზაციების მანქანა-ტრაქტორთა პარკის კომპლექსური ტექნიკური მომსახურებისა და მიწების კომპლექსური აგროქიმიური გაკულტურების სამუშაოთა შესრულებისას მეურნეობები მათ ანგარიშს უსწორებენ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა მიერ დამტკიცებული წლიური ლიმიტების ფარგლებში, საგეგმო-ნორმატიული დანახარჯების მიხედვით (ნორმატიული დაგროვების გათვალისწინებით), რომლებიც არ უნდა აღემატებოდეს საშუალოდ წინა 3 წელიწადში ამ სამუშაოებისათვის აღნიშნულ მეურნეობათა ხვედრითს ფაქტიურ ხარჯებს.

თუ ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის რემონტისა და ტექნიკური მომსახურების, მიწების კომპლექსური აგროქიმიური გაკულტურების სამუშაოთა და მომსახურების ფაქტიური ღირებულება დაწესებულ წლიურ ლიმიტზე მეტი აღმოჩნდება, გადამეტების თანხა მიეკუთვნება სოფლტექნიკისა და სოფლქიმიის რაიონულ (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებათა და განყოფილებათა სამეურნეო საქმიანობის შედეგებს.

8. დაწესდეს, რომ სოფლტექნიკისა და სოფლქიმიის რაიონული (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებებისა და განყოფილებების, წყალსამეურნეო სარემონტო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებისა და „რწყვის“ რაიონული საწარმოო გაერთიანებების მიერ იმ სამუშაოთა შესრულებისას, რომლებიც შეადგენენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიურ პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცესთა შემადგენელ ნაწილს (შესაბამისად მექანიზებული სამუშაოები, მეურნეობათა სრული საწარმოო მომსახურება, მანქანა-ტრაქტორთა პარკის და მეცხოველეობის ფერმებისა და კომპლექსების მოწყობილობის კომპლექსური ტექნიკური მომსახურება, ორგანული და მინერალური სასუქების გატანა მინდვრად და შეტანა ნიადაგში, პესტიციდებით ნათესების დამუშავება, შინასამეურნეო სარწყავი და საშრობი ქსელების რემონტი და ტექნიკური მომსახურება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვა), მათთან ანგარიშსწორება ხდება წლის განმავლობაში ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების ღირებულების 92 პროცენტის გათვალისწინებით დადგენილი წესით დამტკიცებული ფასების, ტარიფებისა და ფასდებების მიხედვით.

წლის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით გაიცემა დანამატები ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების ღირებულების ერთი პროცენტის ანგარიშით მთლიანად სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციისა თუ მისი ცალკეული სახეობების წარმოების დაწესებული გეგმების შესრულების (92 პროცენტის ზევით) და გადაჭარბების თითოეული პროცენტისათვის მომსახურებულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებში ან მათს საწარმო ქვედანაყოფებში:

სოფლტექნიკის საწარმოო გაერთიანებებისა და განყოფილებებისათვის — მთლიანად სოფლის მეურნეობის პროდუქციის ან მისი ცალკეული სახეობების მიხედვით;

სოფლქიმიის საწარმოო გაერთიანებებისათვის — მთლიანად მემცენარეობის პროდუქციის ან მისი ცალკეული სახეობების მიხედვით;

წყალსამეურნეო სარემონტო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებისა და „რწყვის“ რაიონული საწარმოო გაერთიანებებისათვის — მელიორირებულ მიწებზე მემცენარეობის პროდუქციის მიხედვით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა მისცეს სოფლტექნიკისა და სოფლქიმიის რაიონულ (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებებსა და განყოფილებებს, წყალსამეურნეო სარემონტო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებსა და „რწყვის“ რაიონულ საწარმოო გაერთიანებებს მოკლევადიანი კრედიტები საგეგმო დანახარჯებისათვის ამ პუნქტში გათვალისწინებული შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშსწორების წესის შემოღებასთან დაკავშირებით, იმ ვარაუდით, რომ ეს კრედიტები დაიფაროს წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით. აღნიშნული კრედიტით სარგებლობისათვის განაკვეთი დაწესდეს წლიურის ერთი პროცენტის ოდენობით.

9. დაწესდეს, რომ, მოყოლებული 1983 წლიდან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულებისათვის პასუხისმგებელ სახელმწიფო დამამზადებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და სპეციალისტებს, რომლებიც ძირითად საქმიანობასთან ერთად ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვას საკონტრაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაციო ხელშეკრულებათა მიხედვით, გაუდიდდებათ პრემიის ოდენობა მატერიალური წახალისების ფონდებიდან სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის შესყიდვის გეგმის შესრულებისას.

ერთი მუშაკისათვის პრემიის გადიდების თანხა არ უნდა აღემატებოდეს ორი თვის თანამდებობრივ სარგოს იმ ვარაუდით, რომ წლის განმავლობაში ერთი მუშაკისათვის მიცემული პრემიების საერთო თანხა დაწესებულ მაქსიმალურ ოდენობაზე მეტი არ იყოს.

უფლება მიეცეთ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვას, ნება დართონ, რათა ცალკეულ ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და სპეციალისტებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის გეგმის შესრულებისა და წინა ხუთწლედში მიღწეული საშუალო დონის გადამეტებისას მიეცეთ პრემიები სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის გადიდებული ოდენობით (დაწესებული მაქსიმალური ოდენობის გადამეტებით), ამასთან საშუალოდ წელიწადში იგი არ უნდა აღემატებოდეს 0,6 თანამდებობრივ სარგოს თვეზე გაანგარიშებით.

აღნიშნული პრემიების კონკრეტულ ოდენობას განსაზღვრავენ სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები. ამასთან უფრო მეტი ოდენობით პრემიები დაუწესდებათ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს, სადაც დიდია სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების მოცულობა, მნიშვნელოვანია უშუალოდ მეურნეობებში მიღებული და დამამზადებელთა ტრანსპორტით გაზიდული ამ პროდუქციის დამზადების ხვედრითი წონა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულებისათვის პრემიები გაიცეს წლიური მუშაობის შედეგების მიხედვით, ხოლო თამბაქოს, სალაფნე კულტურების, ჩაის ფოთლისა და სამკურნალწამლო კულტურების შესყიდვის გეგმის შესრულებისათვის — სეზონური მუშაობის შედეგების მიხედვით.

10. ერთი საწარმოს ან ორგანიზაციის მიერ სოფლის მეურნეობის რამდენიმე სახეობის პროდუქციის დამზადების განხორციელებისას შესყიდვის გეგმის შესრულება განისაზღვროს ღირებულებითი გამოხატულებით ფაქტიურად დამკვიდრებული ფასების მიხედვით, იმ პირობით, თუ აუცილებლად შესრულდება ნატურალური გამოხატულებით სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის შესყიდვის გეგმა სსრ კავშირის შესაბამისი სამინისტროს ან უწყების მიერ დაწესებული ნუსხის მიხედვით.

11. სსრ კავშირის დამზადების სამინისტრომ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, სამედიცინო მრეწველობის სამინისტრომ და „ცენტროსოიუზმა" შეიტანონ საქვეუწყებო საწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდიდან პრემირების ტიპობრივ დებულებებში საჭირო ცვლილებანი.

12. ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებს და რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს მიჰყიდონ სოფლტექნიკისა და სოფლქიმიის რაიონულ (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებათა და განყოფილებათა, წყალსამეურნეო სარემონტო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა და „რწყვის“ რაიონულ საწარმოო გაერთიანებათა მუშაკებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ დადგენილების მე-8 პუნქტში გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებაში, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესთა შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი, კენკრა, ყურძენი, ბაღჩეული და საკვები კულტურები მომსახურებულ მეურნეობათა მუშაკებისათვის (კოლმეურნეებისათვის) დადგენილი წესით სოფლის მეურნეობაში შრომის ნატურალური ანაზღაურების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საერთო ოდენობის ფარგლებში.

13. დაწესდეს, რომ სოფლტექნიკისა და სოფლქიმიის რაიონული (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებები და განყოფილებები, წყალსამეურნეო სარემონტო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები და „რწყვის“ რაიონული საწარმოო გაერთიანებები უბრუნებენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებს მათი მომსახურების საქმიანობით მიღებული ზეგეგმითი მოგების 50 პროცენტს ღირებულებითი გამოხატულებით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის პროპორციულად, ხოლო დანარჩენი 50 პროცენტი რჩება ამ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა განკარგულებაში და ნაწილდება დადგენილი წესით.

14. დაწესდეს. რომ მაშინ, როცა აგროსამრეწველო გაერთიანებები მათთვის მინიჭებული უფლებების შესაბამისად ამტკიცებენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებისათვის გასაწევი მომსახურებისა და მომსახურე საწარმო-ორგანიზაციების მიერ მათთვის შესასრულებელ სამუშაოთა ფასდებებს (ტარიფებს), გათვალისწინებული უნდა იყოს რენტაბელობის ნორმატივი ამ სამუშაოებისა და მომსახურების თვითღირებულების 8 პროცენტის ოდენობით.

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახსოფლტექნიკის და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წარდგინებით მორიგ ხუთწლედამდე წელიწადნახევრით ადრე წინადადებანი ზემოაღნიშნული ნორმატივის დაზუსტების შესახებ.

სოფლტექნიკისა და სოფლქიმიის საწარმოო გაერთიანებათა და განყოფილებათა, წყალსამეურნეო სარემონტო-საექსპლუატაციო ორგანიზაციათა და „რწყვის“ რაიონულ საწარმოო გაერთიანებათა მოგების საერთო თანხა უთანხმდება შესაბამის აგროსამრეწველო გაერთიანებებს და ამტკიცებს ზემდგომი

ორგანიზაცია დაქვემდებარების მიხედვით.

აღნიშნული წესით შეთანხმებული და დამტკიცებული მოგება გათვალისწინებულ იქნება სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შემუშავებისას.

15. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებისათვის რეალიზებულ ტრაქტორებში, ავტომობილებში, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და მოწყობილობაში საგარანტიო ვადის განმავლობაში გამოვლენილ ნაკლოვანებებს აღმოფხვრიან სოფლტექნიკის რაიონული (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებები და განყოფილებები.

წყალსამეურნეო სამელიორაციო ქსელში საგარანტიო ვადის განმავლობაში გამოვლენილ ხარვეზებს აღმოფხვრიან წყალსამეურნეო ორგანიზაციები თავიანთ ხარჯზე.

16. სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა — სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის მიმწოდებლებმა უზრუნველყონ სამარაგო ნაწილების წარმოება და მიწოდება, რათა 1984-1985 წლებში სოფლტექნიკის რაიონულ (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებებსა და განყოფილებებში შეიქმნას აგრეგატების, კვანძებისა და დეტალების სარეზერვო ფონდი ექსპლუატაციის საგარანტიო ვადის პერიოდში მწყობრიდან გამოსული ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის რემონტისათვის. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს სსრ კავშირის მანქანათსაშენებელი სამინისტროებისა და უწყებების გეგმათა პროექტებში სამარაგო ნაწილების წარმოება და სოფლის მეურნეობისათვის მიწოდება იმ მოცულობით, რაც უზრუნველყოფს სარემონტო-საექსპლუატაციო მოთხოვნილებებს მოქმედი ნორმატივების მიხედვით, აგრეთვე ამ მოცულობის გადამეტებით აღნიშნული სარეზერვო ფონდის სამარაგო ნაწილების შექმნა.

სსრ კავშირის სახსოფლტექნიკამ სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან — ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის მიმწოდებლებთან ერთად ყოველწლიურად განსაზღვროს მოთხოვნილება აღნიშნული სარეზერვო ფონდისათვის საჭირო აგრეგატებზე, კვანძებსა და დეტალებზე და წარუდგინოს შესაბამისი გაანგარიშებანი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახმომარაგებას გეგმათა პროექტების შემუშავებისათვის დაწესებულ ვადებში.

დაწესდეს, რომ ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის დამამზადებელი საწარმოები მოვალენი არიან დამამზადებელი საწარმოს მიზეზით საგარანტიო ვადის განმავლობაში მწყობრიდან გამოსული ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო

მანქანებისა და მოწყობილობის ხარისხის შემოწმების დადგენილი წესით გაფორმებული აქტის მიღების დღიდან ერთი თვის ვადაში გაუგზავნონ სოფლტექნიკის რაიონულ (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებას ან განყოფილებას სარეზერვო ფონდის შესავსებად აგრეგატები, კვანძები და დეტალები მწყობრიდან გამოსულის ნაცვლად.

17. დაწესდეს, რომ, თუ ტრაქტორები, ავტომობილები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა საგარანტიო ვადის განმავლობაში მწყობრიდან გამოვიდა დამამზადებელი საწარმოს მიზეზით, მათი რემონტისათვის გაწეულ ხარჯებს, მათ შორის სამარაგო ნაწილებისა და სხვა მასალების ღირებულებას, სატრანსპორტო და ზედნადებ ხარჯებს სოფლტექნიკის რაიონულ (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებებსა და განყოფილებებს აუნაზღაურებენ დამამზადებელი საწარმოები. გარდა ამისა, დამამზადებელი საწარმოები სოფლტექნიკის რაიონულ (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებებსა და განყოფილებებს აუნაზღაურებენ მიყენებულ ზარალს, მათ შორის ჯარიმებს, საურავსა და სხვა თანხებს, რომლებიც გადაუხადეს მეურნეობებს უხარისხო პროდუქციის გაყიდვასთან, აგრეთვე დაწესებული ვადების გადამეტებით ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის მოცდენასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ დამამზადებელმა საწარმოებმა დაარღვიეს საგარანტიო რემონტისათვის სარეზერვო ფონდში სამარაგო ნაწილების გაგზავნის ვალდებულებანი.

იმ შემთხვევაში, თუ ახალი ან გარემონტებული ტრაქტორები, ავტომობილები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობა მწყობრიდან გამოვა დამამზადებელი საწარმოს (სპეციალიზებული სარემონტო საწარმოს) მიზეზით საგარანტიო ვადის პერიოდში, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებს უფლება აქვთ ხარისხის შემოწმების შესაბამისი აქტის საფუძველზე ტრაქტორების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის უწესივრობის აღმოფხვრის შემდეგ 10 დღის განმავლობაში წარუდგინონ ბანკს საგადამხდელო მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სოფლტექნიკის რაიონული (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანების ან განყოფილების ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოიწეროს რემონტის ღირებულება დაწესებული ფასდებების მიხედვით, უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის ჯარიმის თანხები და შესაბამის შემთხვევებში საურავი დაწესებულ ვადაში ნაკლოვანებათა აღმოუფხვრელობისათვის, ხოლო სოფლტექნიკის გაერთიანებას ან განყოფილებას ასეთივე წესით შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა დამამზადებელი საწარმოს (სპეციალიზებული სარემონტო საწარმოს) ანგარიშიდან ზემოაღნიშნული სახსრების ჩამოწერის შესახებ.

18. ნება დაერთოს სსრ კავშირის სახსოფლტექნიკას:

იყოლიოს საჭიროების კვალობაზე მუდმივი მიმღებები სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის ში-

ნავან საქმეთა სამინისტროს საწარმოებში, რომლებიც ამზადებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და მის სამარაგო ნაწილებს, აგრეთვე საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში, რომლებიც უშვებენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომობილებს (გარდა საწარმოებისა, რომლებიც უშვებენ საერთო დანიშნულების ავტომობილებსაც) და ტრაქტორის მისაბმელებს, მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის დაწესებული ლიმიტების და მისი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში;

შეწყვიტოს მიღება და აკრძალოს საწარმოებიდან სოფლის მეურნეობისათვის გაგზავნა უკომპლექტო, ხარისხის მიხედვით სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შეუსაბამო ტრაქტორებისა, ავტომობილებისა, მისაბმელებისა, სასოფლო-სამეურნეო, სამელიორაციო და სატყეო მანქანებისა, მოწყობილობისა და მათი სამარაგო ნაწილებისა, რომელთა რეალიზაცია ხდება სსრ კავშირის სახსოფლტექნიკის სისტემის მეშვეობით.

19. ნება დაერთოს გაერთიანებას „საკსოფლქიმიას" იქონიოს საჭიროების კვალობაზე მუდმივი მიმღებები სოფლის მეურნეობისათვის ქიმიური პროდუქციის მიმწოდებელ ძირითად საწარმოებში გაერთიანება „საკსოფლქიმიის" სისტემის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის დაწესებული მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის საერთო ლიმიტების და მისი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

20. დაწესდეს 1983 წლის 15 ივლისიდან, რომ მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სხვა ქიმიური პროდუქციის მიწოდების ვადის გადაცილების ან უკმარმიწოდებისათვის (დამამზადებელი საწარმოების მიზეზით) მიმწოდებლები სოფლქიმიის რაიონულ (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებებს, გაერთიანება „საკსოფლქიმიის" სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებს უხდიან საუპიროს ნომენკლატურის (ასორტიმენტის) ცალკეულ დასახელებათა იმ პროდუქციის ღირებულების 12 პროცენტის ოდენობით, რომელიც დროულად არ მიაწოდეს.

21. უფლება მიეცეს გაერთიანებას „საკსოფლქიმიას" გადაახდევინოს დამამზადებელ საწარმოებს ჯარიმები იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობისათვის მისაწოდებელი და გეგმიანი წესით გასანაწილებელი მინერალური სასუქები და სხვა ქიმიური პროდუქცია გაუგზავნეს (მიაწოდეს) მყიდველს (მიმღებს), რომელსაც აღნიშნული პროდუქცია არა აქვს გამოყოფილი, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების დებულების 88-ე პუნქტით დადგენილი წესითა და ოდენობით.

22. დაევალოთ შეიმუშაონ და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით 3 თვის ვადაში დაამტკიცონ:

სსრ კავშირის სახსოფლტექნიკამ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ — დებულება სოფლტექნიკის რაიონული (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებებისა და განყოფილებების მიერ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზა-

ციების საწარმოო-ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა შესრულების ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების შესახებ და აღნიშნულ სამუშაოთა შესრულების ტიპობრივი ხელშეკრულებანი;

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ — დებულება სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების რაიონული (სარაიონთაშორისო) საწარმოო გაერთიანებების, გაერთიანება „სასოფლქიმიის" სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების აგროქიმიური მომსახურების ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების წესის შესახებ და აღნიშნულ მეურნეობათა აგროქიმიური მომსახურების ტიპობრივი ხელშეკრულება;

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ — შინასამეურნეო სამელიორაციო ქსელების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვისა და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სისტემის საწარმოო-ორგანიზაციების მიერ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისათვის შესრულებულ სხვა სამუშაოთა ტიპობრივი ხელშეკრულებანი.

სსრ კავშირის დამზადების სამინისტრომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაონ სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და „ცენტროსოიუზის" მონაწილეობით და 3 თვის ვადაში დაამტკიცონ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით დებულება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების წესის შესახებ და ამ პროდუქციის ტიპობრივი საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი.

გაითვალისწინონ აღნიშნულ დებულებასა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მეურნეობების მიერ წარდგენილი სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის მიღებისა და მისი დაცვა-შენახვისათვის დამამზადებელი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის, ხოლო სახელმწიფოსათვის მიყიდული პროდუქციის ხარისხისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პასუხისმგებლობის ამაღლება.

სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეიტანოს ამ პუნქტში აღნიშნულ ხელშეკრულებათა შესრულების დამახასიათებელი მაჩვენებლები მოქმედ სტატისტიკურ ანგარიშგებაში.

23. იმასთან დაკავშირებით, რომ არის შემთხვევები, როცა დამამზადებელი და მომსახურე საწარმოები და ორგანიზაციები არასწორად უსწორებენ ანგა-

რიში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მათთვის შესრულებული სამუშაოებისათვის:

უფლება მიეცეთ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს წარუდგინონ დადგენილი წესით დამამზადებელ და მომსახურე საწარმოებსა და ორგანიზაციებს სარჩელები იმის შესახებ, რომ მათ გადაახდევინონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების სასარგებლოდ (თუ ასეთი სარჩელები არ წარუდგენიათ ამ მეურნეობებს) მათთვის დაკლებული ან ზედმეტად გადახდილი თანხები;

დაწესდეს, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციების სასარგებლოდ ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხების გადახდევინებისას დამამზადებელი და მომსახურე საწარმოები და ორანიზაციები იხდიან აგრეთვე საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში ჯარიმას გადახდევინებული თანხების 20 პროცენტის ოდენობით.

24. სსრ კავშირის დამზადების სამინისტრომ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, „ცენტროსოიუზმა“, სსრ კავშირის სხვა დაინტერესებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებსა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემსყიდველ საწარმო-ორგანიზაციებს შორის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება შესაბამისი პერიოდისათვის სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის დამტკიცების შემდეგ 3 თვის ვადაში.

25. იმ მიზნით, რომ ამაღლდეს სსრ კავშირის სახსოფლტექნიკის, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და გაერთიანება „საკსოფლქიმიის“ სისტემის საწარმო-ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სამუშაოთა შესრულებისა და მომსახურების გაწევის ხარისხისა და ვადებისათვის, შემოღებულ იქნეს პრაქტიკაში ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშები სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების შესახებ კოლმეურნეობათა საერთო კრებებზე (რწმუნებულთა კრებებზე), საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოორგანიზაციების მუშათა და სპეციალისტთა კოლექტივების საწარმოო თათბირებზე.

26. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით განაზოგადოს 1984-1985 წლებში სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გამოყენების გამოცდილება და საჭიროების კვალობაზე წარმოუდგინოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის შრომისა და სოცია-

ლურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი წინადადებანი ამ ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

* *
*

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისა და აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოების ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციისათვის საჭიროა დამატებით ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად, რომელთა მიზანია აგროსამრეწველო კომპლექსის დარგთა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფა, მნიშვნელოვნად გააძლიერონ ეკონომიკური მუშაობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და მათ მომსახურე საწარმოებსა და ორგანიზაციებში, უზრუნველყონ ბრიგადებში, განყოფილებებსა და საამქროებში, ფერმებში და უბნებზე ქმედითი შინასამეურნეო ანგარიშის, აგრეთვე ბრიგადული იჯარის დანერგვა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და დანაკარგების შემცირებისათვის, მიიღონ ზომები საგეგმო, ტექნოლოგიური, საფინანსო და საშემსრულებლო დისციპლინის განსამტკიცებლად.

| სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
|---|---|
| **ი. ანდროპოვი.** | **ნ. ტიხონოვი.** |

## 77 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნ. ნ. კეცხოველის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კეცხოველის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ და ამასთან დაკავშირებით:

1. მიეკუთვნოს ნ. ნ. კეცხოველის სახელი:
— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტს;
— გორის რაიონის სოფელ ფლავის საშუალო სკოლას;
— ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ახალმშენებლობათა რაიონში.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაწესდეს ნ. ნ. კეცხოველის სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე.

3. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა ნ. ნ. კეცხოველი.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
**დ. ქართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 1 ნოემბერი ,№ 734

## 78 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 22 აგვისტოს № 818 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 30 მარტის № 312 დადგენილებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის თაობაზე" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 22 აგვისტოს № 818 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

– 24-ე პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 აგვისტოს № 488 დადგენილებისა „მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების "შესახებ";

— 1-ლი და მე-2 პუნქტები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 ივლისის № 405 დადგენილებისა „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ".

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 22 აგვისტოს № 818 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ოქტომბრის № 920 დადგენილებისა „კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტურად გამოყენებისა და შენებად საწარმოთა საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 ნოემბრის № 727 დადგენილებით;

— მე-5 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 389 დადგენილებისა „კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესებისა და სამშენებლო წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 ივლისის № 404 დადგენილებით;

— 1-ლი, მე-4, მე-5, მე-9 პუნქტები. მე-10 პუნქტის პირველი აბზაცი, მე-11-14 პუნქტები, მე-15 პუნქტის „ა“, „გ“, „ზ“, „თ“ ქვეპუნქტები, მე-16-18 და 22-ე პუნქტები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 390 დადგენილებისა „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 ივლისის № 405 დადგენილებით.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის<br>მდივანი<br>**ე. შევარდნაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს<br>თავმჯდომარის მოადგილე<br>**ნ. ჩითანავა.** |

ქ. თბილისი, 1983 წ. 29 ნოემბერი, № 781

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

### 79 ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ მომზადდა საქართველოს სსრ კანონთა წიგნის III კარი — „კანონმდებლობა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 29 მაისის № 341 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს-

თან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიური ორგანიზაციების მბურღავთა და გვირაბგამყვანი ბრიგადების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესახებ“.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
**დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
**თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 30 დეკემბერი, № 840

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

### 80 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემაში საწარმოო გაერთიანება „საქსოფლრემონტის“ შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 მარტის № 158 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თხოვნა და იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული კომიტეტის ცენტრალურ აპარატში შეიქმნა რემონტისა და ტექნიკური მომსახურების მთავარი სამმართველო სარემონტო ქარხნებისა და სპეციალური სახელოსნოებისადმი ხელმძღვანელობის სათანადო სამსახურით, გაუქმდეს საწარმოო გაერთიანება „საქსოფლრემონტი“ და გაერთიანების სისტემაში შემავალი დამოუკიდებელბალანსიანი ქარხნები დაექვემდებარონ უშუალოდ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 მარტის № 158 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემაში საწარმოო გაერთიანება „საქსოფლრემონტის“ შექმნის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 1 ნოემბერი, № 701

1. დანართი არ იბეჭდება

## 81 საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობისათვის ერთიანი დოკუმენტის შემოღების შესახებ

საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობის ანგარიშსწორების შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შემოღებულ იქნეს 1984 წლის ივლისიდან საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობასთან ანგარიშსწორების ერთიანი დოკუმენტი ქალაქ თბილისის კალინინის რაიონში, ხოლო 1985 წლის იანვრიდან — ქალაქის დანარჩენ რაიონებში.

2. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური და სხვა მომსახურების გადასახდელთა მისაღებად საანგარიშსწორებო წიგნაკების დაბეჭდვა 1984 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე.

3. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადასახდელთა მიმღებ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელონ შესაბამისი მოსამზადებელი მუშაობა ქალაქ თბილისში საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე ერთიანი დოკუმენტის გამოყენების შემოსაღებად და უზრუნველყონ ბინის დამქირავებელთათვის ერთიანი საანგარიშსწორებო წიგნაკების დროულად დარიგება;

— მოაწყონ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა საანგარიშსწორებო წიგნაკების შევსებისა და მათი მიხედვით გადასახდელთა შეტანის წესების შესახებ;

— მიიღონ ზომები ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების ვადაგადაცილებული დავალიანების ლიკვიდაციისათვის და მომავალში არ დაუშვან მისი წარმოქმნა.

4. საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობის ანგარიშსწორების დოკუმენტების მანქანური დამუშავება გამოთვლითი სისტემის ტექნიკურ ბაზაზე, უწინარეს ყოვლისა ქალაქ თბილისში, შემდგომში კი რესპუბლიკის ყველა რეგიონში იქ, სადაც არის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი ორგანიზაციები.

5. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ და სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების საქართველოს რესპუბლიკურმა მთავარმა სამმართველომ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაუწიონ საბინაო-საექსპლუატაციო სამსახურებს პრაქტიკული დახმარება ერთიანი საანგარიშსწორებო დოკუმენტის გამოყენების სამუშაოთა ორგანიზაციაში;

— მიიღონ ზომები საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე მოსახლეობის უნაღდო ანგარიშსწორების განსავითარებლად.

6. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ქალაქ თბილისში კომუნალური და სხვა მომსახურების ერთიანი საანგარიშსწორებო დოკუმენტის მიხედვით გადასახდელთა მიღების ორგანიზაციის გამოცდილების გამოყენების შედეგების საფუძველზე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 26 აგვისტოს № 605 და 1981 წლის 30 ოქტომბრის № 745 დადგენილებებით გათვალისწინებულ რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ერთიანი დოკუმენტის შემოღების შესახებ.

7. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქალაქო გაზეთების რედაქციებმა ფართოდ განუმარტონ მოსახლეობას ერთიანი საანგარიშსწორებო დოკუმენტის მიხედვით საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ტელეფონისა და ელექტროენერგიის გადასახდელთა შეტანის წესი.

8. დამტკიცდეს თანდართული დებულება საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიის, ტელეფონის გადასახდელებზე ერთიანი დოკუმენტის გამოყენების წესისა და გადასახდელთა მიმღებ საბინაო-საექსპლუატაციო და სხვა ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **Დ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **Ზ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 10 ნოემბერი, № 717

ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 10 ნოემბრის № 717
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიის, ტელეფონის გადასახდელებზე ერთიანი დოკუმენტის შემოღების წესისა და გადასახდელთა მიმღებ საბინაო-საექსპლუატაციო და სხვა ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორების შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე ერთიანი დოკუმენტი შემოღებულია მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისა და ამ გადასახდელებზე ანგარიშსწორების წესის სრულყოფისათვის.

2. ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის შემოღება უნდა განხორციელდეს თანდათანობით, უწინარეს ყოვლისა ქალაქებსა და რაიონებში, სადაც არის გამოთვლითი ცენტრები და მანქანათსაანგარიშო სადგურები, რომლებიც ემსახურებიან საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს.

3. საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებზე ერთიანი დოკუმენტის მიხედვით ანგარიშსწორებას მოსახლეობა ახდენს ნაღდ ფულზე ან უნაღდოდ სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მეშვეობით.

ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის ფორმა მოყვანილია № 1 დანართში.

ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის მიხედვით საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურებისა და ელექტროენერგიის გადასახდელები მოსახლეობას შეაქვს შემნახველ სალაროში ყოველთვიურად არა უგვიანეს გასული თვის მომდევნო თვის ათი რიცხვისა, ხოლო ტელეფონისათვის — მიმდინარე თვისა. ამ გადასახდელთა არადროული შეტანისას დაერიცხებათ საურავი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადასახდელთა საერთო თანხის 0.1 პროცენტის ოდენობით.

4. შემნახველი სალაროები ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის მიხედვით მოსახლეობის გადასახდელებს მიიღებენ სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების სამმართველოს ან უშუალოდ ცენტრალური შემნახველი სალაროს მიერ გამოთვლითი ცენტრის სამსახურებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ტიპობრივი ხელშეკრულების ფორმა მოყვანილია № 2 დანართში.

5. ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის მიხედვით მოსახლეობის გადასახდელთა მიღების ოპერაციების შესრულებისათვის საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები გადაუხდიან შემნახველ სალაროებს საკომისიო გასამრჯელოს თითოეული ოპერაციისათვის 7 კაპიკის ოდენობით (თითოეული ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტი მიიღება ერთ ოპერაციად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის მიხედვით გადახდილი საურავის თანხები რჩება საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის განკარგულებაში.

## II. ერთიანი საანგარიშსწორებო წიგნაკის გაფორმებისა და ბინის დამქირავებელთათვის მისი მიცემის წესი

7. ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის ბლანკები დამზადდება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შეკვეთით მის მიერ დადგენილი წესით. ამასთან დაკავშირებული ხარჯები განაწილდება პროპორციულად გადასახდელთა მიმღებ ორგანიზაციებს შორის.

ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის ბლანკები უნდა აიკინძოს წიგნაკის სახით, რომელსაც ეწოდება „ერთიანი საანგარიშსწორებო წიგნაკი".

ქალაქებში, სადაც შემნახველ სალაროებში მოსახლეობის გადასახდელთა მისაღებად გამოიყენება ელექტრონული საკონტროლო-მარეგისტრირებელი მანქანა „ისკრა-341", ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის ბლანკები უნდა დამზადდეს 210×148 მმ ზომისა (სახსტანდარტი 6.13.2-75), ამასთან შეტყობინება და ქვითარი იბეჭდება ერთ მხარეს და დოკუმენტის ზედა ნაწილის (შეტყობინების) სიმაღლე შეადგენს 60 მილიმეტრს. ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის ბლანკები აკინძულია მარჯვენა ქვედა კუთხეში.

8. ერთიან საანგარიშსწორებო წიგნაკს მიეკუთვნება ნომერი, რომელიც შეესაბამება ბინის დამქირავებლის პირადი ანგარიშის ნომერს საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის ბუღალტერიის კარტოთეკაში, ამ ორგანიზაციის შიფრის აღნიშვნით.

9. ერთიან საანგარიშსწორებო წიგნაკს ბინის დამქირავებელს მისცემს საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაცია უფასოდ, ამასთან სატიტულო ფურცელზე აღინიშნება ბინის დამქირავებლის გვარი, სახელი და მამის სახელი, მისი სახლის მისამართი, დაკავებული საცხოვრებელი ფართობის ოდენობა (კვადრატულ მეტრობით), აღნიშნულ ფართობზე მცხოვრებთა რაოდენობა (ჩაწერის თანახმად), აგრეთვე სატიტულო ფურცლის უკანა მხარეზე გაანგარიშებული იქნება საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების ცალკეულ სახეობათა, ტელეფონის, რადიოწერტის, ტელეანტენისა და სხვა ყოველთვიურ გადასახდელთა თანხა.

ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის თითოეულ ბლანკზე შეივსება შემდეგი რეკვიზიტები: სახელმწიფო ბანკის დაწესებულების დასახელება, ბინის დამქირავებლის პირადი ანგარიშის ნომერი და მისი გვარი.

ერთიანი საანგარიშსწორებო წიგნაკის გადაცემისას საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის მუშაკი განუმარტავს ბინის დამქირავებელს საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიის, ტელეფონის ყოველთვიურ გადასახდელთა შეტანის დროს საგადამხდელო დოკუმენტის ბლანკების შევსების წესს,ატყობინებს გადასახდელთა შეტანის ვადებს და საურავის ოდენობას.

10. საცხოვრებელი ფართობისა და კომუნალური მომსახურების ცალკეული სახეობების ყოველთვიურ გადასახდელთა თანხას გაიანგარიშებს საბი-

ნაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის ბუღალტერია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ჩასწერს ერთიანი საანგარიშსწორებო წიგნაკის სატიტულო ფურცლის უკანა მხარეზე.

საჭიროების კვალობაზე საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას შეუძლია შეიტანოს გადასახდელთა გაანგარიშებაში შესაბამისი ცვლილებანი.

11. ელექტროენერგიის ყოველთვიური გადასახდელის თანხას გაიანგარიშებს თვით ბინის დამქირავებელი უშუალოდ ერთიან საგადამხდელო დოკუმენტში ელექტრომრიცხველის ჩვენებათა მიხედვით. ამ გაანგარიშების საფუძველზე განისაზღვრება გადასახდელის თანხა, რომელიც აღინიშნება ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის შესაბამის გრაფაში.

12. მობინადრეთა შორის ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელთა ურთიერთანგარიშსწორებასთან დაკავშირებული საკითხები წყდება იმ წესის შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს 1977 წლის 25 აპრილის № 63 ბრძანებით დამტკიცებული ელექტროენერგიით სარგებლობის წესებით და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს 1974 წლის 28 ივნისის № 350 ბრძანებით დამტკიცებული საქალაქო სატელეფონო კავშირით სარგებლობის წესებით.

13. ბინის დამქირავებელთა საყურადღებოდ ერთიანი საანგარიშსწორებო წიგნაკის გარეკანის მესამე გვერდზე იბეჭდება მოკლე ინფორმაცია ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის შევსებისა და შემნახველ სალაროში გადასახდელთა შეტანის წესის შესახებ, რომელიც მოყვანილია № 3 დანართში.

ერთიან საანგარიშსწორებო წიგნაკში იბეჭდება საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის მისამართი და ტელეფონის ნომერი, ადმინისტრაციის მიერ მოქალაქეთა მიღების განრიგი, აგრეთვე სადისპეტჩერო სამსახურისა და საქალაქო საავარიო სამსახურების მისამართი და ტელეფონის ნომერი.

## III. შემნახველი სალაროების მიერ მოსახლეობისაგან ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის მიხედვით საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური და სხვა მომსახურების გადასახდელთა მიღებისა და ასეთი გადასახდელების მიხედვით ანგარიშსწორებისათვის მუშაობის ორგანიზაცია

14. ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის მიხედვით შემნახველი სალაროები მოსახლეობისაგან საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელებს მიიღებენ იმ წესით. რომელსაც ითვალისწინებს სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების გამგეობის 1976 წლის 16 აგვისტოს № 3 ინსტრუქცია „სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მიერ მოსახლეობისაგან გადასახდელების მიღების, აგრეთვე პირველადი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან შენატანების მიღების ოპერაციების შესრულების წესის შესახებ“.

15. ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტი შედგება შეტყობინებისა და ქვითრისაგან, რომელთაც ბინის დამქირავებელი ხელით შეავსებს მელნით ან ბურთულიანი კალმით. ამოფხეკა-ამოშლა ან გასწორება ამ დოკუმენტში არ შეიძლება.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

შეტყობინებასა და ქვითარზე გათვალისწინებულია ადგილი საკონტროლო-საკასო მანქანის შტამპის დასასმელად. ქვითარი უბრუნდება ბინის დამქირავებელს მიღებული გადასახდელის დასტურად, ხოლო შეტყობინება ეგზავნება გამოთვლითს ცენტრს დასამუშავებლად.

16. ბინის ქირის გადახდილ თანხას ცენტრალური შემნახველი სალარო გადარიცხავს საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის ანგარიშზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში საკომისიო გასამრჯელოს თანხის გამოქვითვით, რომელიც გაანგარიშებულია თითოეული ოპერაციისათვის 7 კაპიკის ოდენობით. ამასთან თითოეული ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტი მიიღება ერთ ოპერაციად. გადარიცხვა ხდება დაქვემდებარებული შემნახველი სალაროებიდან დოკუმენტების შემოსვლის შემდეგ არა უგვიანეს მომდევნო დღისა ან სხვა ვადებში, თუ ეს დათქმულია ხელშეკრულებით.

17. გამოთვლითს ცენტრს შეუძლია მიიღოს დოკუმენტები უშუალოდ ცენტრალურ შემნახველ სალაროში (გაცემული დოკუმენტების აღრიცხვა ხდება № 4 დანართის თანახმად გათვალისწინებული ფორმის მიხედვით) ან ფოსტით.

დოკუმენტების გადაგზავნა ფოსტით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს წესი არ დააყოვნებს სახსრების შემოსვლას გადასახდელთა მიმღები ორგანიზაციების ანგარიშებზე.

18. ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის დანერგვის შემდეგ საანგარიშსწორებო ელექტრომრიცხველთა ტექნიკური მომსახურება და მათი ჩვენებებისადმი კონტროლი რჩებათ ელექტრომომარაგების საწარმოებს და ხორციელდება სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს 1977 წლის 25 აპრილის № 63 ბრძანებით დამტკიცებული ელექტროენერგიით სარგებლობის წესების შესაბამისად.

19. ენერგომომარაგების საწარმო წარუდგენს საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას აბონენტთა სიას ორ ცალად. საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაცია აღნიშნავს სიაში ბინის დამქირავებელთა პირადი ანგარიშების ნომრებს და სიის ერთ ცალს დაუბრუნებს ენერგომომარაგების საწარმოს.

20. იმ შემთხვევაში, როცა ბინის დამქირავებელი წყვეტს ტელეფონით სარგებლობას, სატელეფონო კვანძს შეაქვს ცვლილება საგადამხდელო დოკუმენტში.

## IV. ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის ავტომატიზებული დამუშავებისას გაანგარიშებათა ორგანიზაციის წესი

21. ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის მიხედვით შეტანილ გადასახდელთა გაანგარიშება საბინაო-საექსპლუატაციო და სხვა ორგანიზაციებისათვის შეიძლება განახორციელოს საბინაო-საექსპლუატაციო მეურნეობის ან ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის გამოთვლითმა ცენტრმა.

ამ შემთხვევაში ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის მიხედვით მიღებულ გადასახდელთა გაანგარიშების განხორციელებისათვის საკომისიო გასამრჯელო გაიცემა შემდეგი წესით: საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციები შემნახველ სალაროებს გადაუხდიან 7 კაპიკს თითოეული ოპერაციისათვის

(თითოეული ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტი მიიღება ერთ ოპერაციად); ენერგომომარაგების საწარმოები და სატელეფონო კვანძები — გამოთვლითს ცენტრს მათ სასარგებლოდ მიღებულ გადასახდელთა თანხის 2 პროცენტს.

22. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი ცენტრი უზრუნველყოფს, რომ მიიღოს ცენტრალური შემნახველი სალაროებისაგან დოკუმენტები მიღებულ გადასახდელთა შესახებ ბანდეროლის სახით ხელწერილით და აღნიშნავს დოკუმენტების საერთო რაოდენობას და თანხას.

23. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი ცენტრი დაამუშავებს ამ დოკუმენტებს, ამასთან შეადგენს საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის, ენერგომომარაგების საწარმოსა და სატელეფონო კვანძისათვის ცალკე რეესტრებს მათ სასარგებლოდ შემოსულ გადასახდელთა თანხაზე. რეესტრში თითოეული ბინის დამქირავებლისათვის აღინიშნება მისი პირადი ანგარიშის ნომერი, აბონენტის ნომერი, გადასახდელის თანხა, მრიცხველის უკანასკნელი ჩვენება და ანგარიშსწორების პერიოდი. საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის რეესტრში, გარდა ამისა. აღინიშნება გადახდილი საურავის თანხა.

ცენტრალური შემნახველი სალაროებისათვის გამოთვლითი ცენტრი შეადგენს და მიაწვდის:

— საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის, ენერგომომარაგების საწარმოსა და სატელეფონო კვანძის სასარგებლოდ გადასარიცხი გადასახდელების შეჯამებული თანხის კრებსით უწყისს, ამასთან აღნიშნავს დოკუმენტების რაოდენობას, რომელთა მიხედვითაც მიღებულია ეს გადასახდელები, და ცალკე — დაქვითული საკომისიო გასამრჯელოს თანხას;

— კრებსით საგადამხდელო დავალებას სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას — ცალკე საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის, ენერგომომარაგების საწარმოსა და სატელეფონო კვანძისათვის გადასახდელთა თანხების გადასარიცხად;

საგადამხდელო დავალებას გამოთვლითი ცენტრის კუთვნილი საკომისიო გასამრჯელოს თანხაზე.

24. კრებსითი უწყისისა და საგადამხდელო დავალებათა მიღების შემდეგ ცენტრალური შემნახველი სალარო შეამოწმებს აღრიცხვის მონაცემების მიხედვით, სწორი და სრულია თუ არა გამოთვლითი ცენტრის მიერ შედგენილი დოკუმენტები მიმღებთა მიერ გადასახდელების თანხის გადარიცხვაზე, და გადარიცხავს შესაბამის თანხებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის, ენერგომომარაგების საწარმოს, სატელეფონო კვანძისა და გამოთვლითი ცენტრის საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშებზე.

25. ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის შეტყობინება მიღებულ გადასახდელთა შესახებ ინახება გამოთვლითი ცენტრის არქივში ან გადაეცემა საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას. დოკუმენტების შენახვის აღნიშნული წესი გათვალისწინებულ იქნება ხელშეკრულებაში.

საცხოვრებელი ფართობის კომუნალური მომსახურე-
ბების, ელექტროენერგიის, ტელეფონის გადასახდე-
ლებზე ერთიანი დოკუმენტის შემოღების წესისა და
გადასახდელთა მიმღებ საბინაო-საექსპლუატაციო და
სხვა ორგანიზაციებს შორის, ანგარიშსწორების
დებულების დანართი № 1

## ნიმუში

### ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტისა

შიფრი . . . . . . . . შეტყობინება 19 წლის ——— სახბანკის განყოფილება
პირადი ანგარიში №———

გვარი და ინიციალები

მისამართი ———

ელექტროენერგია

ტელეფონი № ———

ახალი

ძველი

კილოვატსაათი

თანხა

| ბინის ქირა და კომუნალური მომსახურება | ტელეფონი | სულ | საურავი | მთლიანად |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

მოლარე
გადამხდელის ხელმოწერა

შიფრი . . . . . . . . შეტყობინება 19 წლის ——— სახბანკის განყოფილება
პირადი ანგარიში №———

გვარი და ინიციალები

მისამართი ———

ელექტროენერგია

ტელეფონი № ———

ახალი

ძველი

კილოვატსაათი

თანხა

| ბინის ქირა და კომუნალური მომსახურება | ტელეფონი | სულ | საურავი | მთლიანად |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

მოლარე
გადამხდელის ხელმოწერა

დანართი № 1

იბეჭდება „შეტყობინების“ უკანა მხარეს

შემნახველი სალარო № ____________ ფ. № 187

„____“ ____________ 19 ____ წ. მეანაბრის დავალება

ანგარიში № ____________

____________________________________________

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

სახელმწიფო ბანკის ____________________________________________

(დასახელება)

____________________________ 19 წლის ____________

____________________ გადასახდელად № ____________________

(გადასახდელის დასახელება) (პირადი ანგარიშისა, ვალდებულებისა და ა. შ.)

თანხა ____________ მან. ____________ კაპ.

საურავი ____________ მან. ____________ კაპ.

სულ ____________ მან. ____________ კაპ.

____________________

(მეანაბრის ხელმოწერა)

საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიის, ტელეფონის გადასახდელებზე ერთიანი დოკუმენტის შემოღების წესისა და გადასახდელთა მიმღებ საბინაო-საექსპლუატაციო და სხვა ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორების დებულების დანართი № 2

## ტიპობრივი ხელშეკრულება

**შემნახველი სალაროების მიერ ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის მიხედვით გადასახდელთა მიღებისა**

„——“—————— 19 წ.

სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების სამმართველომ*) —————— უფროსის სახით, შემდგომში „სსრკ სახშრომშემსალაროების სამმართველოდ“ წოდებულმა, და ——————
(ორგანიზაციის დასახელება)

—————— დავდეთ ეს ხელშეკრულება ქვემოთ აღნიშნულის შესახებ:

1. სსრკ სახშრომშემსალაროების სამმართველო კისრულობს ვალდებულებას მოაწყოს ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის მიხედვით საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელთა მიღება შემნახველი სალაროების მიერ.

ერთიან საგადამხდელო დოკუმენტში შეტანილ გადასახდელთა გაანგარიშების განხორციელებას კისრულობს ——————
(ორგანიზაციის დასახელება)

2. ერთიან საგადამხდელო დოკუმენტს, რომელიც შედგება შეტყობინებისა და ქვითრისაგან, შეავსებს ბინის დამქირავებელი ხელით მელნით ან ბურთულიანი კალმით.

შეტყობინებასა და ქვითარზე აღიბეჭდება საკასო მანქანის შტამპი თარიღისა და მიღებული გადასახდელის თანხის აღნიშვნით; ამ დოკუმენტებზე ხელს მოაწერს შემნახველი სალაროს მოლარე. გადასახდელთა მიღებისას ხელით საგადამხდელო დოკუმენტებზე აღინიშნება მიღებული გადასახდელის თანხა, მიღების თარიღი და დაისმება შემნახველი სალაროს შტამპი. შემნახველი სალარო ქვითარს ხელზე მისცემს ბინის დამქირავებელს, ხოლო შეტყობინება დადგენილი წესით გაეგზავნება საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას.

*) სსრკ სახშრომშემსალაროების სამმართველოს დავალებით ცენტრალურ შემნახველ სალაროს შეუძლია უშუალოდ დაუდოს ხელშეკრულება გამოთვლითს ცენტრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. შეტყობინებასა და ქვითარზე მკაფიოდ, ამოფხეკა-ამოშლისა და გასწორების გარეშე აღინიშნება ორგანიზაციის დასახელება, მისი მიმდინარე ანგარიშის ნომერი, რომელზეც უნდა ჩაირიცხოს გადასახდელის თანხა, სახელმწიფო ბანკის დაწესებულების დასახელება, სადაც არის ეს ანგარიში, ბინის დამქირავებლის გვარი და მისი პირადი ანგარიშის ნომერი, გადასახდელთა საერთო თანხა, რა დროისათვის არის იგი დარიცხული.

4. ორგანიზაციის თანამდებობის პირებს (————————————) უფლება არა აქვთ უშუალოდ მიიღონ ბინის დამქირავებელთაგან საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიისა და ტელეფონის გადასახდელები.

5. საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაცია ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის მიხედვით მოსახლეობისაგან გადასახდელთა მიღების ოპერაციების შესრულებისათვის გადაუხდის შემნახველ სალაროებს საკომისიო გასამრჯელოს თითოეული ოპერაციისათვის 7 კაპიკის ოდენობით.

ასეთი დოკუმენტის მიხედვით შემნახველი სალაროების მიერ მიღებულ გადასახდელთა საერთო თანხას, საკომისიო გასამრჯელოს თანხების გამოქვითვით, ცენტრალური შემნახველი სალარო გადარიცხავს ორგანიზაციის შესაბამის საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში ———————— ვადაში.

6. შეტყობინებანი, რომლებითაც შემნახველმა სალაროებმა მიიღეს გადასახდელები, ცენტრალური შემნახველი სალაროს მიერ გადაეცემათ ამ ხელშეკრულების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში ————————

(აღინიშნება: „საგადამხდელო დავალებასთან ერთად „სახბანკს“ ანდა—„ხელწერილით ორგანიზაციის მინდობილობით უფლებამოსილ პირს“, ან „ფოსტით“)

დოკუმენტები ჩაბარდება ბანდეროლის სახით, ბანდეროლებზე აღინიშნება ცენტრალური შემნახველი სალაროს დასახელება, შეტყობინებათა რაოდენობა, თანხა ციფრებით, გადასახდელთა მიღების თარიღი და შემნახველი სალაროს შესაბამის მუშაკთა ხელმოწერა.

7. ისეთი საგადამხდელო დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, რომლის თანხა ვადაში არ იქნა შეტანილი, შემნახველი სალარო ბინის დამქირავებელს გადაახდევინებს საურავს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადასახდელის საერთო თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით. თუ ბინის დამქირავებელი არ დაეთანხმება გადაიხადოს საურავი, შემნახველი სალარო არ მიიღებს გადასახდელს და საგადამხდელო დოკუმენტი დაუბრუნდება ბინის დამქირავებელს შეუსრულებლად.

ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის მიხედვით გადახდილი საურავის თანხა რჩება საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის განკარგულებაში.

8. ———————————————— კისრულობს ვალდებულებას

(ორგანიზაციის დასახელება)

კონტროლი გაუწიოს შემნახველი სალაროს მიერ ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის მიხედვით მოსახლეობისაგან მიღებულ გადასახდელთა გადარიცხვის სისწორესა და სისრულეს დაწესებულ ვადებში თითოეულ ბინის დამქირავებელთან ანგარიშსწორების შემოწმების გზით.

იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ანგარიშსწორების შემოწმებისას გამოვლინდება რაიმე შეუსაბამობა მოქალაქეთაგან მიღებულ და ანგარიშზე შემოსულ

გადასახდელთა თანხებში ——————————————————————
(ორგანიზაციის დასახელება)

კისრულობს ვალდებულებას დაუყოვნებლივ აცნობოს ეს ცენტრალურ შემნახველ სალაროს.

ამ პუნქტში ჩამოყალიბებული პირობების დარღვევით წარმოქმნილი შედეგებისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს გამოთვლითი ცენტრი.

9. ამ ხელშეკრულების დარღვევა შეუძლია ნებისმიერ მხარეს, რის შესახებაც უნდა გააფრთხილოს მეორე მხარე ერთი თვით ადრე.

10. სარჩელები ამ ხელშეკრულების გამო განიხილება საყოველთაოდ დადგენილი წესით.

11. მხარეთა მისამართები:

სსრკ სახშრომშემსალაროების სამმართველოსი ——————————————

ორგანიზაციისა ——————————————————————

12. განსაკუთრებული პირობები

13. ხელშეკრულება შედგენილია —————————— ცალად.

ხელმოწერები:

სსრკ სახშრომშემსალაროების სამმართველო ——————————————

ორგანიზაცია ——————————————————————

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურების, ელექტროენერგიის, ტელეფონის გადასახდელებზე ერთიანი დოკუმენტის შემოღების წესისა და გადასახდელთა მიმღებ საბინაო-საექსპლუატაციო და სხვა ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორების დებულების დანართი № 3

# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

## ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის გამოყენების წესის შესახებ

1. ერთიან საგადამხდელო დოკუმენტში შესული გადასახდელები ბინის დამქირავებელს შეაქვს შემნახველ სალაროებში ყოველთვიურად გასული თვის მომდევნო თვის არა უგვიანეს ათი რიცხვისა. ამასთან საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურებისა და ელექტროენერგიის გადასახდელთა თანხები ამ დოკუმენტში შეიტანება განვლილი თვისათვის, ხოლო ტელეფონისა მიმდინარე თვისათვის.

ამ გადასახდელთა არადროული შეტანისას დაერიცხებათ საურავი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადასახდელთა საერთო თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით.

საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაცია ერთიან საანგარიშსწორებო წიგნაკს ბინის დამქირავებლებს მისცემს უფასოდ. წიგნაკის დაკარგვის შემთხვევაში ბინის დამქირავებელს მიეცემა დუბლიკატი.

3. საცხოვრებელი ფართობისა და კომუნალური მომსახურების ცალკეული სახეობების ყოველთვიურ გადასახდელთა ოდენობას გაიანგარიშებს საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის ბუღალტერია.

ელექტროენერგიის ყოველთვიური გადასახდელის თანხას გაიანგარიშებს თვით ბინის დამქირავებელი უშუალოდ ერთიან საგადამხდელო დოკუმენტში ელექტრომრიცხველის ჩვენებათა მიხედვით.

4. ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტი შედგება შეტყობინებისა და ქვითრისაგან, რომელთაც შეავსებს ბინის დამქირავებელი ხელით მელნით ან ბურთულიანი კალმით. ამოფხეკა-ამოშლა ან გასწორება ამ დოკუმენტში არ შეიძლება.

ბინის დამქირავებლის სურვილისამებრ შემნახველ სალაროს შეუძლია მიიღოს მისგან ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის მიხედვით გადასახდელები რამდენიმე თვით ადრე. თუ საჭიროა რამდენიმე გასული თვის გადასახდელთა შეტანა, ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტი გამოიწერება ცალ-ცალკე თითოეული თვისათვის.

5. მიღებული გადასახდელის დასადასტურებლად ერთიანი საგადამხდელო დოკუმენტის შეტყობინებასა და ქვითარზე უნდა აღიბეჭდოს საკასო მანქანის შტამპი. აღნიშნული თანხა დამოწმდება მოლარის ხელმოწერით.

6. მობინადრეთა რაოდენობის შეცვლისას ბინის დამქირავებელი მოვალეა წარუდგინოს ერთიანი საანგარიშსწორებო წიგნაკი საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას გადასახდელის თანხის გადასაანგარიშებლად.

7. ერთიან საგადამხდელო დოკუმენტში შესული გადასახდელები შეიძლება შეტანილ იქნეს უნაღდო ანგარიშსწორებით — შემნახველ სალაროში მეანაბრის ანგარიშიდან თანხების გადარიცხვის გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელი ფართობის, კომუნალური მომსახურე-
ბის, ელექტროენერგიის, ტელეფონის გადასახდე-
ლებზე ერთიანი დოკუმენტის შემოღების წესისა და
გადასახდელთა მიმღებ საბინაო-საექსპლუატაციო და
სხვა ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორების
დებულების დანართი № 4

# ბ ა რ ა თ ი

შეტყობინებათა გაცემის აღრიცხვისა ______________________
(შემნახველ სალაროებში შემოსულ
______________________
გადასახდელთა დასახელება)

საანგარიშსწორებო

(მიმდინარე) ანგარიში № ______________

| თარიღი | შეტყობინებათა რაოდენობა | თანხა | ხელმოწერა მიღებაზე | თარიღი | შეტყობინებათა რაოდენობა | თანხა | ხელმოწერა მიღებაზე |
|---|---|---|---|---|---|---|---|

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 82 თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სააფთიაქო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სააფთიაქო სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 10 ნოემბერი, № 718

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 10 ნოემბრის № 718 დადგენილებით

# დებულება

## თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სააფთიაქო სამმართველოს შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სააფთიაქო სამმართველოს ქმნის თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად და იგი თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოსა და მის აღმასკომს, ისევე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს

2. სააფთიაქო სამმართველო ხელმძღვანელობას უწევს მის შემადგენლობაში შემავალ სამეურნეოანგარიშიან აფთიაქებს (ცენტრალურს, რაიონულს, საავადმყოფოთაშორისს, მზა წამლებისა), სააფთიაქო მაღაზიებს, საკონტროლო-საანალიზო ლაბორატორიასა და სხვა ორგანიზაციებს.

3. სააფთიაქო სამმართველოს შენახვა ხორციელდება საქვეუწყებო დაწესებულებათა მიერ გაწეული ანარიცხების ხარჯზე.

4. სააფთიაქო სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, აგრეთვე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით და ამ დებულებით.

5. ხელმძღვანელობა სააფთიაქო სამმართველოსადმი ხორციელდება ერთმმართველობის საფუძველზე.

სააფთიაქო სამმართველოს, საქვეუწყებო სააფთიაქო დაწესებულებებისა და საწარმოების თანამშრომელთა კოლექტივი, აგრეთვე მათი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფართოდ მონაწილეობენ მედიკამენტებითა და სამედიცინო ნაწარმით მოსახლეობისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების უზრუნველყოფის ორგანიზაციის, სახელმწიფო გეგმის შესრულების, სააფთიაქო დაწესებულებების სავაჭრო-საწარმოო საქმიანობის სრულყოფის,

აფთიაქის მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხილვასა და განხორციელებაში.

6. სააფთიაქო სამმართველო მთელ თავის საქმიანობაში იცავს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას, უზრუნველყოფს სააფთიაქო დაწესებულებათა და საწარმოთა უფლებების დაცვას და კონტროლს უწევს მათთვის დაკისრებული ამოცანების, ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულებას.

7. სააფთიაქო სამმართველო ახორციელებს მის ოპერატიულ მართვაში არსებული ქონებისა და ფულადი სახსრების მფლობელობის, გამოყენებისა და გამგებლობის უფლებებს.

8. სააფთიაქო დაწესებულებათა და საწარმოთა შექმნა, გარდაქმნა და გაუქმება ხდება დადგენილი წესით.

9. სააფთიაქო სამმართველო არის დაწესებულება, რომელიც მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, სარგებლობს იურიდიული პირის ყველა უფლებით, ასრულებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ მოვალეობებს, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიში სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

## II. სააფთიაქო სამმართველოს სახსრები და ფონდები

10. სააფთიაქო სამმართველოს გამოეყოფა ძირითადი და საბრუნავი სახსრები, რომლებიც ქმნიან მის საწესდებო ფონდს.

11. საკუთარი საბრუნავი სახსრების საერთო ოდენობას (ნორმატივს) სააფთიაქო სამმართველოსათვის აწესებს ყოველწლიურად ზემდგომი ორგანო. საბრუნავი სახსრების ოდენობა შეიძლება შეიცვალოს წლის განმავლობაში მხოლოდ სააფთიაქო სამმართველოს საქმიანობის საგეგმო მაჩვენებლების შეცვლასთან დაკავშირებით.

სააფთიაქო სამმართველოსათვის ნორმატივის ფარგლებში გამოყოფილი საბრუნავი სახსრები მას არ შეიძლება ჩამოართვას ზემდგომმა ორგანომ.

ზედმეტი საბრუნავი სახსრები სააფთიაქო სამმართველოს შეიძლება ჩამოართვას ზემდგომმა ორგანომ წლიური ანგარიშის მიხედვით ან საგეგმო მაჩვენებლების შეცვლასთან დაკავშირებით საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივის შეცვლისას.

12. სააფთიაქო სამმართველოს შეაქვს საამორტიზაციო ანარიცხები კაპიტალური რემონტისა და ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის.

კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხები შეადგენენ მიზნობრივ ფონდს და იხარჯება კაპიტალური რემონტისა და ძირითადი ფონდების მოდერნიზაციისათვის.

ძირითადი ფონდების სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხები ხმარდება კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სააფთიაქო სამმართველოს მოგება ნაწილდება მისი შემოსავალ-გასავლის ბალანსის შესაბამისად დადგენილი წესით.

საგეგმო მაჩვენებლების შესრულებით სააფთიაქო დაწესებულებებისა და საწარმოების მუშაკთა კოლექტივის მატერიალური დაინტერესების გაძლიერე-

ბის მიზნით სააფთიაქო სამმართველოს განკარგულებაში იქმნება საწარმოს ფონდი მოგების ანარიცხების ხარჯზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

საწარმოს ფონდის სახსრები იხარჯება სააფთიაქო დაწესებულებათა და საწარმოთა მოწყობილობის მოდერნიზაციის ღონისძიებათა განსახორციელებლად, სააფთიაქო დაწესებულებათა მშენებლობისათვის, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის, საბინაო ფონდის რემონტისათვის, ინდივიდუალური პრემირებისათვის, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურების შესაძენად, აფთიაქების მუშაკთათვის ერთდროული დახმარების გასაწევად.

### III. სააფთიაქო სამმართველოს უფლებები, ძირითადი ამოცანები და საქმიანობა

14. სააფთიაქო სამმართველოს საქმიანობასთან დაკავშირებულ მის უფლებებს ახორციელებენ სააფთიაქო სამმართველოს უფროსი და მოვალეობათა დაწესებული განაწილების მიხედვით — სხვა თანამდებობის პირები (უფროსის მოადგილეები, განყოფილებათა უფროსები).

15. სააფთიაქო სამმართველოს შეუძლია მიანიჭოს ცალკეულ სააფთიაქო დაწესებულებებს, ცენტრალურ რაიონულ აფთიაქებს, მსხვილ სამეურნეოანგარიშიან აფთიაქებს და ა. შ. სამეურნეო ხელმძღვანელობის დამატებითი უფლებანი, რაც მიცემული აქვთ ამ ორგანოებს.

16. სააფთიაქო სამმართველოს ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

ა) ორგანიზაცია გაუწიოს მედიკამენტებსა და სამედიცინო ნაწარმზე მოსახლეობისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებას სააფთიაქო დაწესებულებათა მუშაობის პრაქტიკაში მოწინავე ტექნოლოგიის, კონტროლის უახლესი მეთოდებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების დანერგვის საფუძველზე;

ბ) უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ღონისძიებანი მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების სხვა ნაწარმით;

გ) შეასრულოს სახელმწიფო გეგმის დავალებანი და უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის განუხრელი დაცვა;

დ) კონტროლი გაუწიოს სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულებას მოსახლეობისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების წამლით უზრუნველყოფის, სააფთიაქო და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში წამლის შენახვის, მომზადების, კონტროლისა და გაცემის დროს ფარმაცევტული წესრიგის საკითხებზე;

ე) უზრუნველყოს სააფთიაქო სამმართველოს სისტემის დაწესებულებანი და საწარმოები კვალიფიციური კადრებით, დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია;

ვ) გააუმჯობესოს მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები:

ზ) უზრუნველყოს სოციალისტური საკუთრების დაცვა სააფთიაქო სამმართველოს სისტემის დაწესებულებებსა და საწარმოებში და გამოიჩინოს მზრუნველობა მის მიმართ;

თ) განახორციელოს კონტაქტები და საქმიანი თანამშრომლობა ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებთან საერთო საკითხების შესამუშავებლად და გადასაწყვეტად;

ი) დროულად და ყურადღებით განიხილოს მშრომელთა წერილები (განცხადებები და საჩივრები), სწორად გადაწყვიტოს ამ წერილებში აღძრული საკითხები. აგრეთვე განახორციელოს ღონისძიებანი სააფთიაქო სამმართველოს სისტემის დაწესებულებათა და საწარმოთა საქმიანობაში არსებული იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომელთაც იტყობინებიან თავიანთ წერილებში მშრომელები.

17. უფლებებისა და ამოცანების შესაბამისად სააფთიაქო სამმართველო ახორციელებს ამ დებულებით გათვალისწინებულ ფუნქციებს ფარმაცევტული საქმიანობის, მედიკამენტებისა და სამედიცინო ნაწარმის მომარაგება-გასაღების, დაგეგმვის, დაფინანსების, აღრიცხვისა და ანგარიშგების, შრომისა და ხელფასის, ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის, კაპიტალური მშენებლობისა და რემონტის დარგში.

**უფლება-მოვალეობანი ფარმაცევტული საქმიანობის დარგში**

18. სააფთიაქო სამმართველო:

ა) შეიმუშავებს ღონისძიებებსა და საინსტრუქციო მითითებებს საქვეუწყებო სააფთიაქო დაწესებულებათა და საწარმოთა ფარმაცევტული საქმიანობის საკითხებზე მოქმედი კანონმდებლობისა და სადირექტივო ორგანოთა განკარგულებების შესაბამისად;

ბ) განახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს საქვეუწყებო სააფთიაქო დაწესებულებათა და საწარმოთა ფარმაცევტული საქმიანობისადმი, აგრეთვე გააკონტროლებს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების აფთიაქების ფარმაცევტულ საქმიანობას;

გ) მოაწყობს ქმედითს კონტროლს აფთიაქებსა და ფარმაცევტულ ფაბრიკებში (წარმოებებში) დამზადებული წამლის ხარისხისადმი და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ფარმაცევტული წესრიგის და დასამზადებელი წამლის ხარისხის გაუმჯობესება;

დ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მედიკამენტებითა და სამედიცინო ნაწარმით მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლება;

ე) ორგანიზაციას გაუწევს და განახორციელებს ღონისძიებებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის, მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელებისათვის საქვეუწყებო საავთიაქო დაწესებულებებსა და საწარმოებში.

**უფლებები და საქმიანობა მომარაგებისა და ვაჭრობის დარგში**

19. საავთიაქო სამმართველო თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოსთან ერთად განსაზღვრავს ქალაქის მოთხოვნილებას მედიკამენტებსა და სამედიცინო ნაწარმზე, მიიზიდავს ამ მიზნით საავთიაქო და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა მთავარ სპეციალისტებს.

დროულად წარადგენს დასაბუთებულ განაცხადებს გეგმიანი წესით (ფონდების მიხედვით) გასანაწილებელ მედიკამენტებსა და სამედიცინო ნაწარმზე იმ ნომენკლატურითა და ოდენობით, რაც საჭიროა მოსახლეობისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების შეუფერხებლივ უზრუნველსაყოფად და სათანადო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

გააანალიზებს გამოყოფილ ფონდებს, განსაზღვრავს საქონელბრუნვის დაწესებული გეგმის უზრუნველყოფას სასაქონლო დაფარვით

20. საავთიაქო სამმართველო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ საავთიაქო სამმართველოსთან შეთანხმებით:

— მოაწყობს დეცენტრალიზებული წესით მედიკამენტებისა და სამედიცინო ნაწარმის შესყიდვას მოთხოვნილების სრულ დაკმაყოფილებამდე;

— უფლება აქვს რეალიზაცია უყოს ზედმეტ მედიკამენტებსა და სამედიცინო ნაწარმს სხვა საავთიაქო სამმართველოებში.

21. საავთიაქო სამმართველო მოაწყობს საინფორმაციო და საცნობარო სამსახურს, უზრუნველყოფს მედიკამენტებისა და სამედიცინო ნაწარმის მოხმარების შექმნილი კონიუნქტურის შესწავლის საფუძველზე მიმდინარე სამედიცინო მომარაგებისა და მისი პერსპექტივების ამსახველი საინფორმაციო მასალების მომზადებასა და დადგენილი წესით გამოცემას საავთიაქო და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაკთათვის.

22. საავთიაქო სამმართველო კონტროლს გაუწევს საქვეუწყებო საავთიაქო დაწესებულებათა საქმიანობას ვაჭრობის წესების დაცვისა და საჭირო მედიკამენტებითა და სამედიცინო ნაწარმით მოსახლეობის და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების უზრუნველყოფის საკითხებზე.

განიხილავს მშრომელთა წერილებსა და განცხადებებს მედიკამენტებითა და სამედიცინო ნაწარმით უზრუნველყოფის საკითხებზე, მიიღებს ზომებს მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

საავთიაქო სამმართველო კონტროლს გაუწევს მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვას საქვეუწყებო საავთიაქო დაწესებულებებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. საფთიაქო სამმართველო განახორციელებს სამედიცინო პრაქტიკაში ახალ სამკურნალწამლო საშუალებათა დანერგვის ღონისძიებებს და წარუდგენს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადებებს იმ მედიკამენტების ნომენკლატურიდან ამოღების შესახებ, რომლებიც მორალურად მოძველდა, ნაკლებეფექტიანია და მოთხოვნით არ სარგებლობს.

24. საფთიაქო სამმართველო განახორციელებს საქმიანობას საქვეუწყებო საფთიაქო დაწესებულებათა და საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში, შეიძენს რა საჭირო მოწყობილობას, სათბობს, საშენ მასალებსა და სხვა მატერიალურ ფასეულობებს განაწილების საგეგმო აქტების (განრიგების, საფონდო შეტყობინებათა და სხვ.) საფუძველზე, აგრეთვე უფლება აქვს შეიძინოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საჭირო საქონელი სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციებისაგან უგანრიგო პროდუქციაზე მათთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით, აგრეთვე წვრილ საბითუმო სპეციალიზებულ ბაზებში და სხვადასხვა მაღაზიაში შესყიდვის გზით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესით.

**უფლებები და საქმიანობა დაგეგმვის დარგში**

25. საფთიაქო სამმართველო საკონტროლო ციფრების საფუძველზე შეიმუშავებს თავისი საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ ზემდგომ ორგანიზაციებს.

26. საფთიაქო სამმართველოსათვის დამტკიცებულ საგეგმო დავალებათა შეცვლა შეუძლია ზემდგომ ორგანოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იმ პირობით, თუ ეს ცვლილებები წინასწარ იქნება განხილული საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით და ვადებში. ზემდგომი ორგანოს მიერ საგეგმო დავალებათა შეცვლისას ამავე დროს შეტანილ უნდა იქნეს საჭირო ცვლილებანი ბიუჯეტთან საფთიაქო სამმართველოს ურთიერთობაში.

27. საფთიაქო სამმართველო განიხილავს საფთიაქო დაწესებულებათა მონაწილეობით საგეგმო დავალებებს მათთვის დაწესებული მაჩვენებლების წრის მიხედვით, დაამტკიცებს მათ და აცნობებს საქვეუწყებო ქსელის დაწესებულებებს, აგრეთვე განახორციელებს კონტროლს მათი შესრულებისადმი.

28. დაწესებული ნორმატივებიდან გამომდინარე, საფთიაქო სამმართველო დაგეგმავს საფთიაქო დაწესებულებათა ქსელის განვითარებასა და განლაგებას.

**უფლებები და საქმიანობა ფინანსების, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში**

29. საფთიაქო სამმართველო განსაზღვრავს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივებს საქვეუწყებო საფთიაქო დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის საგეგმო დავალებების მიხედვით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვისა და მარაგის ნორმების შესაბამისად.

30. საფეთიაქო სამმართველოს შეუძლია ისარგებლოს ბანკის კრედიტით და პასუხს აგებს მისი მიზნობრივი გამოყენებისა და დავალიანების დროულად დაფარვისათვის.

31. საფეთიაქო სამმართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული თანხების ფარგლებში უფლება აქვს ჩამოსწეროს საფეთიაქო დაწესებულებათა ბალანსიდან ბალანსზე მორალურად მოძველებული, გაცვეთილი, შემდგომი გამოყენებისათვის გამოუსადეგარი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და ინვენტარი, როცა ამ ქონების აღდგენა შეუძლებელია ან ეკონომიკურად მიზანშეუწონელია და მისი რეალიზაცია არ შეიძლება. საფეთიაქო სამმართველოს უფლება აქვს აგრეთვე ჩამოსწეროს ბალანსიდან ახალი ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით აღებული ან დაძველებული შენობანაგებობანი.

32. საფეთიაქო სამმართველოს უფლება აქვს ჩამოსწეროს ზარალში და ამის შესახებ შეატყობინოს ზემდგომ ორგანოს;

— დებიტორული დავალიანება, რომლის სასარჩელო ხანდაზმულობა გასულია;

— მისჯილი ვალი, რომლის სააღსრულებო დოკუმენტები დაბრუნებულია სასამართლოს მიერ დამტკიცებული იმ აქტით, რომ მოპასუხე ვალაუვალია და არ შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება მის ქონებაზე;

— სხვა ვალი, რომლის მიღება საფეთიაქო სამმართველომ უიმედოდ ცნო.

33. საფეთიაქო სამმართველოს თანხების ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვს ჩამოსწეროს თავისი ბალანსიდან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში:

— ფასეულობათა დანაკლისი ზარალის ნორმების გადამეტებით და საქონლის, მასალების გაფუჭებით გამოწვეული დანაკარგები იმ შემთხვევებში, როცა კონკრეტული დამნაშავენი დადგენილი არ არიან;

— სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისით გამოწვეული ვალი, რომლის გადახდევინებაზე სასამართლომ უარი განაცხადა სარჩელის დაუსაბუთებლობის გამო.

34. ამ დებულების 31-ე და 32-ე პუნქტებით გათვალისწინებული ზარალის ჩამოწერა საფეთიაქო სამმართველოს ბალანსიდან შეიძლება მოხდეს მხოლოდ ზარალის მიზეზების საგულდაგულო შემოწმების, დამნაშავე პირთა გამოვლენისა და მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნება საჭირო ზომები დაკარგული თანხების მათ მიერ გადასახდელად.

35. საფეთიაქო სამმართველო შეიმუშავებს ხარჯთაღრიცხვას ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების მუხლების მიხედვით, სახსრების ყოველმხრივი ეკონომიის აუცილებლობის გათვალისწინებით, და წარუდგენს დასამტკიცებლად ზემდგომ ორგანოს.

36. საფეთიაქო სამმართველო დაამტკიცებს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ნუსხას ყველა საქვეუწყებო საფეთიაქო დაწესებულებისა და საწარმოსათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. საათიაქო სმამრათველოს შეუძლია გამოყოს დამოუკიდებელ ბალანსზე საქვეუწყებო საათიაქო დაწესებულებები და საწარმოები, რომელთა საქმიანობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

38. საათიაქო სამმართველო უზრუნველყოფს:

— საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვასა და ანგარიშგებას, აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვის, მისი ცენტრალიზაციის ღონისძიებათა შემუშავებას საქვეუწყებო დაწესებულებებსა და საწარმოებში;

— საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშებისა და ბალანსების შედგენას და ზემდგომი ორგანოებისათვის წარდგენას დაწესებულ ვადებში;

— სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციების ჩატარებას საქვეუწყებო დაწესებულებებსა და საწარმოებში;

— ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების დაცვის უზრუნველსაყოფად საქვეუწყებო საათიაქო დაწესებულებებსა და საწარმოებში;

— საქვეუწყებო საათიაქო დაწესებულებათა და საწარმოთა უზრუნველყოფას ფინანსური რესურსებით და კონტროლს მათი საფინანსო საქმიანობისადმი, საბრუნავი სახსრების, კაპიტალური დაბანდებებისა და რემონტისათვის განკუთვნილი ასიგნებების ეკონომიურად გამოყენებისადმი.

### უფლებები და საქმიანობა შრომისა და ხელფასის დარგში

39. საათიაქო სამმართველოს უფროსი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დაამტკიცებს და შეცვლის თანამშრომელთა ხელფასის განაკვეთებს თანამდებობრივი განაკვეთების სქემის შესაბამისად ხელფასის ფონდის, აგრეთვე საშუალო ხელფასის ფარგლებში საშტატო განრიგის მიხედვით.

40. საათიაქო სამმართველოს უფლება აქვს მიაკუთვნოს საქვეუწყებო საათიაქო საწარმოები და დაწესებულებები ხელმძღვანელ მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესაბამის კატეგორიას, აგრეთვე გადაიყვანოს ისინი ერთი კატეგორიიდან მეორეში საქონელბრუნვის მოცულობისა და რეცეპტურის ცვლილებასთან დაკავშირებით, ამასთან იხელმძღვანელოს დადგენილი წესით დამტკიცებული მაჩვენებლებით.

41. საათიაქო სამმართველო დაამტკიცებს საქვეუწყებო საათიაქო დაწესებულებებისა და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა პრემიებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

42. საათიაქო სამმართველო ნებას დართავს საქვეუწყებო საათიაქო დაწესებულებებს გამოიყენონ დადგენილი წესით ხელფასის საგეგმო ფონდი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთათვის ხელფასის დანამატების დასანიშნად.

43. საათიაქო სამმართველო შეისწავლის და განსაზღვრავს მოთხოვნილებას ფარმაცევტებსა და სხვა სპეციალისტებზე და წარუდგენს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განაცხადებს საჭირო რაოდენობის სპეციალისტებზე.

44. სააფთიაქო სამმართველო შეარჩევს და დააკომპლექტებს სამმართველოსა და საქვეუწყებო სააფთიაქო დაწესებულებათა და საწარმოთა აპარატს.

სააფთიაქო სამმართველო კონტროლს გაუწევს კადრების განაწილებასა და აღზრდას, განუწყვეტლივ შეისწავლის საქვეუწყებო სააფთიაქო დაწესებულებებისა და საწარმოების თანამშრომელთა საქმიან თვისებებს და ამის საფუძველზე შეარჩევს ხელმძღვანელ შემადგენლობას სააფთიაქო დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის, აგრეთვე სააფთიაქო სამმართველოს აპარატისათვის.

45. სააფთიაქო სამმართველო მოაწყობს სამმართველოს აპარატისა და საქვეუწყებო სააფთიაქო დაწესებულებებისა და საწარმოების თანამშრომელთა საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას ადგილობრივ ბაზაზე, აგრეთვე უფლება აქვს გაგზავნოს ისინი ფარმაცევტულ ინსტიტუტებთან და ფაკულტეტებთან, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტებთან და ფარმაცევტულ დაწესებულებებთან არსებულ სხვადასხვა ციკლის დახელოვნების კურსებზე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებით.

## უფლებები და საქმიანობა კაპიტალური მშენებლობისა და რემონტის დარგში

46. სააფთიაქო სამმართველო ქსელის გაფართოების გეგმების საფუძველზე განახორციელებს სააფთიაქო დაწესებულებათა კაპიტალურ მშენებლობასა და რეკონსტრუქციას; ამასთან უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას.

კაპიტალური მშენებლობა და რეკონსტრუქცია ხორციელდება, როგორც წესი, საიჯარო წესით.

სააფთიაქო სამმართველო დაუდებს საპროექტო ორგანიზაციებს ხელშეკრულებებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესამუშავებლად. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამტკიცდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კონტროლს გაუწევს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხს და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვას, აგრეთვე განახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას მშენებლობის, სამონტაჟო სამუშაოების, მშენებარე ობიექტებისათვის მიწოდებული მოწყობილობის ხარისხისადმი.

47. გადასცემს რა ხელშეკრულებების მიხედვით საიჯარო ორგანიზაციებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებას, სააფთიაქო სამმართველოს უფლება აქვს გადასცეს მათ, მათი თანხმობით, შრომის ლიმიტები, ფონდები და მასალები, რაც შემდეგ უნდა შეატყობინოს ზემდგომ ორგანოს.

48. სააფთიაქო სამმართველო ორგანიზაციას გაუწევს საქვეუწყებო დაწესებულებათა და საწარმოთა კაპიტალურ რემონტს, ამასთან უზრუნველყოფს მოწყობილობის მოდერნიზაციას, ტექნიკური დონისა და მწარმოებლობის ამაღლებას, აგრეთვე შენობა-ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლუატაციო

მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახორციელებს რემონტის ხარისხის ამაღლებისა და მისი გაიაფების ღონისძიებებს.

კაპიტალური რემონტის გეგმებსა და შესაბამის სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო განგარიშებებს დაამტკიცებს სააფთიაქო სამმართველოს უფროსი.

49. სააფთიაქო სამმართველოს უფლება აქვს გააერთიანოს სხვა დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან საწარმოს ფონდის სახსრები და მის განკარგულებაში არსებული სხვა სპეციალური სახსრები საცხოვრებელი სახლების, პიონერბანაკებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების ერთობლივი (წილობრივი მონაწილეობის წესით) მშენებლობისათვის.

## IV. ხელმძღვანელობა სააფთიაქო სამმართველოსადმი

50. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სააფთიაქო სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი სამუშაოზე დანიშნავს და სამუშაოდან გაათავისუფლებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, რაც შემდგომ დამტკიცდება საქალაქო საბჭოს მორიგ სესიაზე.

51. სააფთიაქო სამმართველოს უფროსი წარმართავს სამმართველოს მთელ მუშაობას და მთლიანად აგებს პასუხს მისი მდგომარეობისა და საქმიანობისათვის.

სააფთიაქო სამმართველოს უფროსი მოქმედებს სააფთიაქო სამმართველოს სახელით. წარმოადგენს მას ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, განაგებს კანონმდებლობის შესაბამისად სააფთიაქო სამმართველოს ქონებასა და სახსრებს, დადებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს (მათ შორის სხვისთვის მინდობის უფლებით), გახსნის ბანკებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს.

52. სააფთიაქო სამმართველოს უფროსი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად მიიღებს სამუშაოზე და დაითხოვს სამუშაოდან აპარატის თანამშრომლებს, აგრეთვე საქვეუწყებო სააფთიაქო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს.

53. სააფთიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილესა და მთავარ ბუღალტერს დანიშნავს სამუშაოზე და გაათავისუფლებს სამუშაოდან ზემდგომი ორგანო სამმართველოს უფროსის წარდგენით.

54. უფროსის მოადგილე თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს სააფთიაქო სამმართველოს სახელით, წარმოადგენს მას სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, შეუძლია შეასრულოს სამეურნეო ოპერაციები და დადოს ხელშეკრულებანი მინდობილობის გარეშე, აგრეთვე მისცეს მინდობილობანი სააფთიაქო სამმართველოს მუშაკებს.

55. სააფთიაქო სამმართველოს აპარატის განყოფილებათა უფროსებს დანიშნავს და გაათავისუფლებს სააფთიაქო სამმართველოს უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსს თანამდებობაზე დაამტკიცებს ზემდგომი ორგანო.

განყოფილებათა უფროსები ექვემდებარებიან სააფთიაქო სამმართველოს უფროსსა და მის მოადგილეს მათი კომპეტენციის ფარგლებში.

56. სააფთიაქო სამმართველოს უფროსის მოადგილისა და განყოფილებათა უფროსების კომპეტენციას განსაზღვრავს სააფთიაქო სამმართველოს უფროსი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

57. სააფთიაქო სამმართველოს აპარატის განყოფილებები მოქმედებენ სააფთიაქო სამმართველოს უფროსის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

58. სააფთიაქო სამმართველოს უფროსი დაუდებს კოლექტიურ ხელშეკრულებას მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს, როგორც სააფთიაქო სამმართველოს თანამშრომელთა წარმომადგენელს, და უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა დროულად შესრულებას.

59. სააფთიაქო სამმართველოს უფროსი მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით:

— განსაზღვრავს შრომითი შინაგანაწესს ტიპობრივი წესების შესაბამისად.

— დაამტკიცებს საწარმოს ფონდის და თანამშრომელთა წახალისების სხვა ფონდების სახსრების გამოყენების ხარჯთაღრიცხვას, გასცემს პრემიებს და გაუწევს ერთდროულ დახმარებას ამ ფონდებიდან.

60. სააფთიაქო სამმართველოს უფროსი მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან, სააფთიაქო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებთან, საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას, საზოგადოებრივ დათვალიერებებს სააფთიაქო დაწესებულებებსა და საწარმოებში, შეაჯამებს შედეგებს და განსაზღვრავს გამარჯვებებს. აგრეთვე გადაწყვეტს მოწინავე კოლექტივებისა და თანამშრომელთა წახალისების საკითხებს.

61. სააფთიაქო სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილეები საწარმოო თათბირებზე, ადგილობრივი კომიტეტის სხდომებზე მოახსენებენ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების, გეგმებისა და კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებების, მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ.

62. სააფთიაქო სამმართველო ჩაატარებს სააფთიაქო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებთან, აფთიაქების მუშაკთა აქტივთან თათბირებს, რომლებზეც განიხილება პერსპექტიული გეგმების პროექტები, სამეურნეო და ფარმაცევტული საქმიანობის შედეგები, მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლების და სხვა საკითხები.

სააფთიაქო სამმართველოს ხელმძღვანელობა თათბირის მონაწილეებს გააცნობს წინათ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის განხორციელებულ ღონისძიებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

63. ქალაქის სააფთიაქო საქმის ორგანიზაციისა და ეკონომიკის სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად და განსახილველად სააფთიაქო დაწესებულებებისა და საწარმოების მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკთა ფართოდ მიზიდვის მიზნით სააფთიაქო სამმართველოსთან შეიქმნება სააფთიაქო საბჭო და ფარმაცევტთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების განყოფილება. სამმართველოს უფროსი შექმნის ამ ორგანიზაციათა წარმატებული საქმიანობისათვის საჭირო პირობებს.

64. სააფთიაქო სამმართველო ფარმაცევტთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების განყოფილებასთან ერთად რეგულარულად მოიწვევს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, რომლებზეც განიხილება ქალაქის სააფთიაქო საქმის ეკონომიკური განვითარებისა და მეცნიერული პროგრესის საკითხები, შემუშავდება სააფთიაქო დაწესებულებათა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებანი.

65. სააფთიაქო სამმართველო მოაწყობს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვის შემოწმებას საქვეუწყებო სააფთიაქო დაწესებულებებსა და საწარმოებში, ფარმაცევტული და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმებას.

## V. სააფთიაქო სამმართველოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

66. სააფთიაქო სამმართველოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება დადგენილი წესით.

სააფთიაქო სამმართველოს ლიკვიდაციას განახორციელებს სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც დანიშნავს ზემდგომი ორგანო.

სააფთიაქო სამმართველოს ლიკვიდაციის წესსა და ვადებს განსაზღვრავს ზემდგომი ორგანო.

67. სალიკვიდაციო კომისია ოფიციალურ რესპუბლიკურ და საქალაქო პრესის ორგანოებში სააფთიაქო სამმართველოს ადგილსამყოფელის მიხედვით გამოაქვეყნებს მასალებს სააფთიაქო სამმართველოს ლიკვიდაციის და კრედიტორთა მიერ პრეტენზიების წარდგენის ვადის შესახებ. მიუხედავად ამისა, სალიკვიდაციო კომისია ან ლიკვიდირებული სააფთიაქო სამმართველოს უფროსი მათთან არსებული მასალების მიხედვით მოვალენი არიან გამოავლინონ სააფთიაქო სამმართველოს კრედიტორთა ყველა პრეტენზია და აცნობონ მათ მისი ლიკვიდაციის შესახებ.

ლიკვიდირებული სააფთიაქო სამმართველოსადმი წაყენებული პრეტენზიები დაკმაყოფილდება იმ ქონების ხარჯზე, რომელზეც კანონით შეიძლება მიქცეულ იქნეს გადახდევინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეტენზიის განცხადებისათვის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ გამოვლენილი და განცხადებული პრეტენზიები დაკმაყოფილდება დაწესებულ ვადაში გამოვლენილი პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ წარმოქმნილი ზემოაღნიშნული ქონების ნაშთიდან.

ლიკვიდაციის ვადის განმავლობაში გამოუვლენელი და განუცხადებელი პრეტენზიები. აგრეთვე ლიკვიდირებული საავთიაქო სამმართველოს ქონების ნაკლებობის გამო დაუკმაყოფილებელი პრეტენზიები დაფარულად ითვლება. ასევე მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარულად ითვლება პრეტენზიები, რომელთაც არ ცნობს სალიკვიდაციო კომისია, თუ კრედიტორები პრეტენზიების მთლიანად ან ნაწილობრივ არცნობის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან ორი კვირის ვადაში არ წარადგენენ სასამართლო სარჩელს პრეტენზიების დაკმაყოფილების თაობაზე.

68. მიყენებული დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლის, ანდა სიკვდილის გამო ლიკვიდირებული საავთიაქო სამმართველოსაგან კუთვნილი დროებითი გადასახდელების ანაზღაურება უზრუნველყოფილ იქნება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ჯანმრთელობის მოშლასთან ან სიკვდილთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურების შესახებ მოქალაქეთა პრეტენზიები და სარჩელები, აგრეთვე საპატიო მიზეზით ლიკვიდაციის დამთავრებამდე წარუდგენელი სხვა პრეტენზიები და სარჩელები შეიძლება შემდგომ წარედგინოს საერთო წესით ლიკვიდირებული საავთიაქო სამმართველოს მიმართ ზემდგომ ორგანოს. ამ ორგანოს შეუძლია დააკისროს მის მიერ ცნობილი ან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული მოთხოვნის დაკმაყოფილება თავის საქვეუწყებო საავთიაქო სამმართველოს, რომელმაც მიიღო ლიკვიდირებული საავთიაქო სამმართველოს ქონება.

69. საავთიაქო სამმართველოს დებულება, ბიუჯეტი, სტრუქტურა და რიცხოვნობა მტკიცდება დადგენილი წესით.

70. საავთიაქო სამმართველო არის იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 83 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 16 სექტემბრის № 911 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების თაობაზე ძირითად დებულებათა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 16 სექტემბრის № 911 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-3 პუნქტის მეხუთე და მეექვსე აბზაცები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 ივლისის № 433 დადგენილებისა „სახელმწიფო საცალო ფასების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

2 მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 16 სექტემბრის № 911 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— მე-18 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 დეკემბრის № 1245 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების გაუმჯობესების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 8 თებერვლის № 57 დადგენილებით;

— მე-12, მე-14 და მე-18 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 აპრილის № 280 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების შემდგომი გაუმჯობესებისა და წარმოების სტიმულირებაში კრედიტის როლის ამაღლების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 მაისის № 291 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ნ. ჭითანავა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი. 1983 წ. 16 ნოემბერი, № 733

## 84 საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს შესახებ.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 ივნისის № 386 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ (ამხ. ქაჯაია):

— მიიღოს ზომები სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მუშაობის გასაძლიერებლად, მისი საკონტროლო-პროფილაქტიკური საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, მის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ეფექტიანობის ასამაღლებლად;

— განახორციელოს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მუშაკთა შერჩევისა და განაწილების გაუმჯობესების, ყოველგვარი ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით მათი აღზრდის, მათი საქმიანი თვისებების ამაღლების ღონისძიებანი.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ (ამხ. დვალიშვილი) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან (ამხ. ქაჯაია) ერთად განიხილოს და გადაწყვიტოს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციისათვის საშტატო რიცხოვნობისა და სამივლინებო ხარჯების ლიმიტის გადიდების საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ნ. ჩიტანავა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1983 წ. 28 ნოემბერი, № 756

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 28 ნოემბრის № 756 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველო აკონტროლებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მრეწველობის ყველა დარგის საწარმოებში (გაერთიანებებში) გამომუშავებული სახალხო მოხმარების სასურსათო და არასასურსათო საქონლის, კარტოფილისა და ხილბოსტნეულის პროდუქციის ხარისხს, აგრეთვე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და სხვა სამართლებრივი ნორმების მოთხოვნათა დაცვას.

2. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და „ცენტროსოიუზის". საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის წესების საკითხებზე სავალდებულო ნორმატიული დოკუმენტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

3. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველო არის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფი, შედგება მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, ქალაქ ქუთაისში მისდამი დაქვემდებარებული განყოფილებებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საინსპექციო პუნქტის, აგრეთვე ქალაქ თბილისში ლაბორატორიისაგან დადგენილი წესით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად.

4. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველო, მისი რეგიონალური განყოფილებები და საინსპექციო პუნქტი ადგილებზე დამოუკიდებელი არიან თავიანთ საქმიანობაში ვაჭრობის მართვის ადგილობრივი ორგანოებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მართვის ორგანოებისაგან.

5. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს რეგიონალურ განყოფილებათა რაოდენობას, მათ ტერიტორიულ განლაგებასა და საშტატო რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი სახელმწიფო მმართველობის ორ-

განოების ხაზით რესპუბლიკის ბიუჯეტით ამ სამმართველოსათვის გათვალისწინებული მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში.

6. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარ სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი, რომელიც თავის საქმიანობაში ექვემდებარება უშუალოდ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს.

7. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს უფროსს, მის მოადგილეებს, მთავარ ბუღალტერს, განყოფილებათა უფროსებს, მთავარ, წამყვან, უფროს და სახელმწიფო ინსპექტორებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი, ხოლო ამ სამმართველოს დანარჩენ მუშაკებს — მისი უფროსი.

8. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს შენახვის ხარჯები გაიღება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, მთავარ სამმართველოს აქვს დამოუკიდებელი კრებსითი ბალანსი მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების მიხედვით და საბიუჯეტო ანგარიშები ბანკში, ასრულებს ბანკისა და სალაროს ოპერაციებს.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით შეუძლია განსაზღვროს აღნიშნული სამმართველოს შენახვის სხვა წესი.

9. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოსა და მისი რეგიონალური ქვედანაყოფების შესანახად გამოყოფილ სახსრებს განაგებს ამ სამმართველოს უფროსი.

10. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარ სამმართველოს, რომელიც მდებარეობს ქალაქ თბილისში, აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება, საჭირო შტამპები და ბლანკები.

აღნიშნული სამმართველოს რეგიონალურ განყოფილებებს, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საინსპექციო პუნქტს აქვთ მრგვალი ბეჭდები, რომლებზეც აღნიშნულია შესაბამისი დასახელებანი, საჭირო შტამპები და ბლანკები.

## II. ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

11. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანები ის არის, რომ:

— კონტროლი გაუწიოს სახალხო მოხმარების სასურსათო და არასასურსათო საქონლის, აგრეთვე კარტოფილისა და ხილბოსტნეულის პროდუქციის[1]) ხარისხს უშუალოდ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ მრეწველო-

---

[1]) შემდგომ ეწოდება „სახალხო მოხმარების საქონელი“.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

ბის ყველა დარგისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში (გაერთიანებებში), მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და სხვა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის, აგრეთვე დამტკიცებული ნიმუშ-ეტალონების[2]) მოთხოვნების შეუსაბამო საქონლის გამომუშავება და მიწოდება;

— კონტროლი გაუწიოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საბითუმო, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნების, საქონლის შეფუთვის, ნიშანდებისა და შენახვის წესების დარღვევით გამომუშავებული საქონლის მიღება და მოსახლეობისათვის მიყიდვა, აგრეთვე არასაბაზრო მოხმარებელთათვის მიწოდება;

— კონტროლი გაუწიოს ავტონომიური რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროთა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და ავტონომიური ოლქისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საზოგადოებრივი კვების სამმართველოთა, რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო და რაიონული სამომხმარებლო საზოგადოებების გამგეობათა, აგრეთვე რესპუბლიკის ვაჭრობის მართვის სხვა ორგანოთა მუშაობის მდგომარეობას, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, მათს საქვეუწყებო სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში ვაჭრობის ორგანიზაციისა და საცალო ფასების, ვაჭრობისა და მომსახურების წესების დაცვისადმი საუწყებო კონტროლის განხორციელების ნაწილში;

— კონტროლი გაუწიოს საბითუმო და საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვას, ფასებისა და ფასდანამატების, აგრეთვე ვაჭრობისა და მომსახურების წესების გამოყენებას;

— მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის მართვაში;

— სრულყოს კონტროლის ფორმები და მეთოდები, აამაღლოს მისი ეფექტიანობა.

12. მისთვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველო განახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

— შეამოწმებს მრეწველობის ყველა დარგისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში (გაერთიანებებში) საწარმოთა ტექნიკური კონტროლის განყოფილებების მიერ მიღებული და ნიშანდებული სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხს იმ მხრივ, შეესაბამება თუ არა იგი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს. დამტკიცებულ ნიმუშ-ეტალონებს, აგრეთვე ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა მუშაობას, ნახევარფაბრიკატების, ნე-

[2]) შემდგომ ეწოდება „ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დლეულისა და მასალების წარმოების ტექნოლოგიის, რეცეპტურის დაცვას, ხარისხს, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის არსებობას, პროდუქციის გამოცდისა და კონტროლის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფას;

— ვანახორციელებს საბითუმო, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლისა და საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ხარისხის შემოწმებას იმ მხრივ, შეესაბამება თუ არა იგი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს, დამტკიცებულ ნიმუშ-ეტალონებს, აგრეთვე იცავენ თუ არა ეს საწარმოები სამამულო და იმპორტული საქონლის მიღების, შენახვის, შეფუთვის, გაგზავნისა და რეალიზაციის წესებს;

— საჭირო შემთხვევებში მონაწილეობას მიიღებს გადასაზიდი მალფუჭებადი საქონლის ხარისხის შესამოწმებლად რკინიგზების საკონტროლო პუნქტების მუშაობაში და რკინიგზების თხოვნით გასცემს დასკვნებს აღნიშნული საქონლის შემდგომი გადაზიდვის შესაძლებლობის შესახებ;

— განიხილავს სახალხო მოხმარების საქონლის სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და სხვა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის პროექტებს და გასცემს მათ გამო დასკვნებს, შეიტანს წინადადებებს საქონლის ტექნიკური დონისა და ხარისხისადმი მოთხოვნების ამაღლების შესახებ;

— მონაწილეობას მიიღებს სახალხო მოხმარების საქონლისა და საზოგადოებრივი კვების პროდუქციის რესპუბლიკური სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების შეთანხმებაში;

— მონაწილეობას მიიღებს იმ სამინისტროთა და უწყებათა სამხატვრო-ტექნიკური, საკოორდინაციო საბჭოების, სატესტაციო. სადეგუსტაციო კომისიებისა და სხვა საბჭოებისა და კომისიების მუშაობაში, რომელთა საწარმოები (გაერთიანებები) უშვებენ სახალხო მოხმარების საქონელს, ამასთან უფლება აქვს გამოთქვას განსაკუთრებული აზრი ამ საბჭოების (კომისიების) გადაწყვეტილებებში იმისათვის, რათა სადავო საკითხები შემდგომ ერთობლივად განიხილონ სამრეწველო სამინისტროებმა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ;

— დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ჩაატარებს დადგენილი წესით სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის შედარებითს დათვალიერებებს;

— საქონლის ხარისხის კონტროლის ორგანიზაციისათვის თავის მუშაობას კოორდინაციას გაუწევს სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებთან და პროდუქციის ხარისხის გამკონტროლებელ სხვა ორგანოებთან;

— მონაწილეობას მიიღებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის შემოწმებებში სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებთან, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ორგანოებთან, დარგობრივ სამინისტროთა და უწყებათა საქონლის ხარისხის ინსპექციებთან და ტექნიკური კონტროლის სამსახურებთან ერთად, განახორციელებს ამ ორგანოებთან ერთად ღონისძიებებს საქონლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიწვეული იქნება შემოწმებებში, რომლებსაც ჩაატარებენ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის ორგანოები;

— მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მითითებით საქონლის ხარისხის შემოწმებებში სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე განლაგებულ მრეწველობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში;

— ჩაატარებს საბითუმო, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში:

საწარმოთა მუშაობის, საქონლის გაყიდვისა და გაცვლის დადგენილი რეჟიმისა და წესების დაცვის, საქონლისა და საზოგადოებრივი კვების პროდუქციის წმინდა წონით და სრული ზომით გაცემის სისწორის, მყიდველებთან ანგარიშსწორების, ზომებითა და საზომი ხელსაწყოებით სარგებლობის სისწორის; საცალო ფასების, ფასდანამატების, საზოგადოებრივი კვების პროდუქციაზე ფასწარმოქმნის წესის; საჩივართა და წინადადებათა წიგნების, საკონტროლო ჟურნალების წარმოების წესის შემოწმებებს;

ვაჭრობისა და მომსახურების წესების, გასაწევი მომსახურების, საცალო ფასების შესახებ მყიდველთა ინფორმაციის არსებობისა და მდგომარეობის შემოწმებებს;

ასორტიმენტებით, ნუსხებით ან მენიუთი გათვალისწინებული საქონლისა და საზოგადოებრივი კვების პროდუქციის გასაყიდად არსებობის შემოწმებებს;

— ჩაატარებს საბითუმო ვაჭრობის საწარმოებში, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწყობებში საკმაო რაოდენობით არსებული საქონლის, აგრეთვე საქონლის, მათ შორის დეფიციტურის გაცემის, წესის დაცვის შემოწმებებს;

— განიხილავს მოსახლეობის, ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების წერილებსა და საჩივრებს, პრესის გამოსვლებს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის, ვაჭრობის წესების, საცალო ფასების დარღვევის საკითხებზე და მიიღებს მათ გამო საჭირო ზომებს დადგენილი წესით;

— შეამოწმებს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დავალებით საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებში კანონმდებლობის დაცვას საცალო ფასების, ვაჭრობისა და მომსახურების წესების დაცვისადმი კონტროლის ორგანიზაციის ნაწილში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

— შეამოწმებს საუწყებო კონტროლის მდგომარეობას, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციულ მუშაობას სახალხო მოხმარების უხარისხო საქონლისა და საზოგადოებრივი კვების პროდუქციის გამომუშავებისა და რეალიზაციის, ვაჭრობის წესებისა და საცალო ფასების დარღვევათა თავიდან ასაცილებლად მათს საქვეუწყებო საწარმოებში, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის, საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ხარისხის და ვაჭრობაში დარღვევათა საკითხებზე მშრომელთა წერილებსა და საჩივრებზე მუშაობის მდგომარეობას;

— გააანალიზებს და განაზოგადებს განხორციელებული კონტროლის შედეგებს, მოამზადებს წინადადებებს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმჯობესების, სავაჭრო საწარმოთა მუშაობისადმი კონტროლის გაძლიერების შესახებ და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, აგრეთვე შეიტანს დადგენილი წესით სახალხო მეურნეობის დარგთა მართვის შესაბამის ორგანოებში;

— განახორციელებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს სახალხო მოხმარების უხარისხო საქონელსა და საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ვაჭრობაში შეღწევის, საბჭოთა ვაჭრობის წესების, ფასებისა და ფასწარმოქმნის დარღვევათა თავიდან აცილებისათვის;

— პერიოდულად წარუდგენს რესპუბლიკურ და ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ინფორმაციებს განხორციელებული კონტროლის შედეგების შესახებ;

— გასცემს დასკვნებს მრეწველობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის შესახებ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას;

— ყოველკვარტალურად მოამზადებს გაწეული მუშაობის მიმოხილვას და გაუგზავნის ზემდგომ და დაინტერესებულ ორგანოებს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

### III. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს უფლებები

13. დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარ სამმართველოს, მის რეგიონალურ განყოფილებებსა და საინსპექციო პუნქტს ადგილებზე უფლება აქვთ:

— დაუბრკოლებლივ გააკონტროლონ დამამზადებელ საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის, აგრეთვე საკომპლექტებელი დეტალების, ნახევარფაბრიკატების, ნედლეულისა და მასალების ხარისხი მათი წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების ნებისმიერ სტადიაში;

— განახორციელონ საჭირო შემთხვევებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის გამოყენებული ნედლეულის, მასალებისა და საკომპლექტებელ ნაკეთობათა ხარისხის შემოწმება მრეწველობის საწარმოებში, რომლებიც აწვდიან მათ საწარმოო კოოპერაციის წესით;

— აკრძალონ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის დარღვევით გამომუშავებული საქონლის მიღება საბაზრო და არასაბაზრო მომხმარებელთა მიერ, შეწყვიტონ ასეთი საქონლის გაგზავნა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების მიერ, საჭირო შემთხვევებში შემოიღონ საქონლის მიღების განსაკუთრებული რეჟიმი;

— შეიტანონ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის ორგანოებში წინადადებანი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შეუსაბამო საქონლისათვის სახელმწიფო ხარისხის ნიშნის მოხსნის შესახებ;

— გააცნონ მიღებული გადაწყვეტილებანი ზემდგომ ორგანიზაციებს, აგრეთვე დადგენილი წესით დააყენონ საკითხები უხარისხო საქონლის გაგზავ-

ნის, მიღებისა და გაყიდვისათვის დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის და მათ მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ;

— გაუგზავნონ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს ბრძანებები საბაზრო და არასაბაზრო მომხმარებელთათვის იმ უსტანდარტო საქონლის გაგზავნის აკრძალვის შესახებ, რომელთა მიხედვით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი შეწყვეტენ სამრეწველო საწარმოთა საგადამხდელო მოთხოვნების მიღებას ინკასოზე, აგრეთვე სავაჭრო და სხვა ორგანიზაციათა და საწარმოთა საგადამხდელო დავალებების მიღებას ამ საწარმოებისათვის სახსრების გადასარიცხავად ისეთი საქონლისათვის, რომლის რეალიზაცია აკრძალულია;

— მისცენ ტრანსპორტის ორგანოებს მითითებანი უხარისხო პროდუქციის დატვირთვისა და მომხმარებელთათვის ტრანსპორტირების აკრძალვის შესახებ;

— გამოიტანონ დადგენილი წესით მრეწველობისა და ვაჭრობის საწარმოთა (გაერთიანებათა) მიერ შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში გადაირიცხოს ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნების, აგრეთვე დამტკიცებული ნიმუშ-ეტალონების გადახრით გამომუშავებული რეალიზებული პროდუქციის მოგება, და ამოღებულ იქნეს ეს პროდუქცია წარმოებისა და მოგების გეგმის შესრულების ამსახველი საანგარიშგებო მონაცემებიდან, გაუგზავნონ მითითებანი საფინანსო ორგანოებს, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს საკონტროლოდ და წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების შესრულების შესახებ საწარმოთა (გაერთიანებათა) ანგარიშებში შესაბამისი ცვლილებების შესატანად;

— გამოიტანონ შემოწმებათა შედეგების მიხედვით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებანი ვაჭრობის, მომსახურების წესებისა და ფასების გამოვლენილ დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ;

— გამოიტანონ საჭირო შემთხვევებში დადგენილი წესით შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებანი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ, რომლებშიც გამოვლინდა ბოროტმოქმედების და მყიდველთა (მომხმარებელთა) მოტყუების ფაქტები; ამოიღონ უწესივრო, სათანადოდ დამღადაუსმელი, შემოწმების ვადაგასული საზომი ხელსაწყოები და ზომები, ამოიღონ დოკუმენტების დედნები, საქონლის, პროდუქციის ნიმუშები (სინჯები), რომლებიც ადასტურებენ დარღვევებს ან ბოროტმოქმედებას, ამასთან გააფორმონ ეს შესაბამისი აქტებით;

— გამოიტანონ დადგენილი წესით შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ ამოღებულ იქნეს და სახელმწიფოს ბიუჯეტის შემოსავალში გადაირიცხოს ის თანხები, რომლებიც ზედმეტად მიიღეს მყიდველთაგან (მომხმარებელთაგან) დამამზადებელმა საწარმოებმა, ვაჭრობისა

და საზოგადოებრივი კვების საწარმოებმა გადიდებულ ფასებში საქონლისა და პროდუქციის რეალიზაციის (როცა შეუძლებელია მათი დაბრუნება), აგრეთვე რეცეპტურების დარღვევით, ნედლეულის, მასალების დაკლებით ან ნაკლებ ძვირფასი შეცვლილი ნედლეულითა და მასალებით გამომუშავებული საქონლისა და პროდუქციის რეალიზაციის შედეგად;

— გადასცენ სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს მასალები უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევებში საწარმოებისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

— წარადგინონ შესაბამისი ორგანიზაციების განსახილველად წინადადებანი იმის შესახებ, რომ დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ საწარმოთა ხელმძღვანელებსა და სხვა პირებს, რომლებიც დაუშვებენ უხარისხო სახალხო მოხმარების საქონლისა და საზოგადოებრივი კვების პროდუქციის გამომუშავებას, გაგზავნასა და გაყიდვას;

— გაუგზავნონ საჭირო შემთხვევებში მასალები პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სახალხო კონტროლის ორგანოებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციულ კომისიებს, ამხანაგურ სასამართლოებსა და სხვა ორგანოებს იმ ხელმძღვანელთა და სხვა პირთა პასუხისგებაში მისაცემად, რომელთაც დანაშაული მიუძღვით უხარისხო სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების, მიყიდვისა და რეალიზაციისათვის, აგრეთვე დაუშვეს ბოროტმოქმედება და მყიდველთა (მომხმარებელთა) მოტყუება.

დაშვებული დარღვევის სიმძიმის კვალობაზე მოსთხოვონ შესაბამის ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს გაათავისუფლონ აღნიშნული მუშაკები ან დაადონ მათ დისციპლინური სასჯელი დადგენილი წესით;

— გამოიტანონ შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებანი იმ მაღაზიების, განყოფილებების, სექციების, საცალო და საბითუმო საწარმოთა საწყობების, საზოგადოებრივი კვების საწარმოების დროებით დახურვის შესახებ, რომლებიც სისტემატურად უშვებენ უხარისხო საქონლისა და პროდუქციის გაყიდვას, მათ გაფუჭებას შენახვის პირობებისა და ვადების დარღვევის გამო;

— მისცენ წერილობითი დასკვნები სასურსათო და არასასურსათო საქონლის ხარისხის შესახებ საქონლის დამამზადებელთა (მიმწოდებელთა) და მყიდველთა (მიმღებთა) შორის უთანხმოების დროს;

— აიღონ დადგენილი წესით საქონლის, საზოგადოებრივი კვების პროდუქციის, საკომპლექტებელი დეტალების, ნედლეულისა და მასალების ნიმუშები (სინჯები) ხარისხის, შედარებითი დათვალიერებების, გამოცდის, ანალიზების ჩასატარებლად;

— დაავალონ საქონლის, საკომპლექტებელი დეტალების, ნედლეულისა და მასალების ნიმუშების (სინჯების) გამოცდების, ანალიზების ჩატარება მრეწველობის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებს, იმ ვარაუდით, რომ ნიმუშებისა და ჩატარებული ექსპერტიზების ღირებულება ანაზღაურდეს საწარმოთა ხარჯზე, რომლებშიც იქნა აღებული ნიმუშები (სინჯები);

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამოიყენონ საწარმოებში შემოწმებათა ჩატარებისას არსებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, ტექნიკური და საზომი საშუალებანი საქონლის ხარისხის კონტროლისათვის, მიიღონ მასალები საწარმოებში ჩატარებული საქონლის, საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ნიმუშების (სინჯების) გამოცდის, ანალიზების შედეგების შესახებ, მათი წარმოებისათვის გამოყენებული საქონლის, საკომპლექტებელი დეტალების, ნედლეულისა და მასალების ხარისხის, საწარმოთა მუშაობის მდგომარეობის დამახასიათებელი სხვა დოკუმენტები და ცნობები;

— მიიღონ საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებებისაგან, რომლებიც ახორციელებენ საქონლის საგარანტიო რემონტს, სააღრიცხვო მონაცემები რემონტის რაოდენობისა და გამოვლენილი დეფექტების ხასიათის შესახებ;

— მიიზიდონ საქონლის ხარისხის და ვაჭრობისა და მომსახურების წესების დაცვის შემოწმებათა ჩასატარებლად მრეწველობის, ვაჭრობის საწარმოთა და ორგანიზაციათა სპეციალისტები შესაბამის საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით;

— მიიზიდონ ვაჭრობისა და მომსახურების წესების, ფასებისა და ფასწარმოქმნის დაცვის შემოწმებებში საზოგადოებრივ კონტროლიორთა და შტატგარეშე ინსპექტორთა აქტივი, რომელთაც ამ მუშაობისათვის რეკომენდაციას გაუწევენ დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა, საბჭოთა მეურნეობათა, სასწავლებელთა პროფკავშირული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის აქტივი;

— გამოვიდნენ წარმომადგენლად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სახელით ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებიც ამუშავებენ და ამტკიცებენ სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საკითხებზე, რომლებიც მართვის კომპეტენციას განეკუთვნება.

**IV. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი**

14. საჩივრებს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს სახელმწიფო ინსპექტორთა გადაწყვეტილებებზე განიხილავენ სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილეები, ხოლო სამმართველოს უფროსის მოადგილეთა გადაწყვეტილებებზე — სამმართველოს უფროსი.

15. საჩივრები სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს ორგანოთა გადაწყვეტილებებზე სასურსათო საქონლის ხარისხის საკითხების გამო შეიტანება სამმართველოს აქტის მიღებიდან ორი დღე-ღამის განმავლობაში. ხოლო არასასურსათო საქონლის ხარისხის საკითხების გამო — ხუთი დღე-ღამის განმავლობაში.

16. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს ორგანოთა გადაწყვეტილებანი სახელმწი-

ფო ბიუჯეტში სახსრების ამოღების შესახებ და მითითებანი ეკონომიკური სანქციების გამოყენების შესახებ შეიძლება გაასაჩივრონ საწარმოებმა და მათმა ზემდგომმა ორგანიზაციებმა ამ გადაწყვეტილებათა მიღების დღიდან ორი კვირის ვადაში.

17. გადაწყვეტილებანი სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების ამოღების შესახებ და მითითებანი ეკონომიკური სანქციების გამოყენების შესახებ შეიძლება გააუქმონ (შეცვალონ) სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ან მისმა მოადგილეებმა.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების ამოღების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებანი გასაჩივრებულ იქნა დაწესებულ ვადაში, სახსრების ამოღება შეჩერდება ამ საკითხის გადაწყვეტამდე. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს სხვა გადაწყვეტილებათა გასაჩივრება ვერ შეაჩერებს მათ შესრულებას.

18. სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს უფროსს უფლება აქვს გააუქმოს (შეცვალოს) საქვეუწყებო ორგანოების გადაწყვეტილებანი.

19. საჩივრები სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს უფროსის გადაწყვეტილებებზე შეიძლება წარედგინოს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს გადაწყვეტილებათა მიღებიდან ათი დღის ვადაში. საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის გადაწყვეტილება საბოლოოა.

---

## 85 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 29 სექტემბრის № 954 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადით დაუბეგრავი მოქალაქეთა შემოსავლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 29 სექტემბრის № 954 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის № 103 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ბეწვეულსარეწის და ნადირთმომშენებლობის შემდგომი განვითარების ზომებისა და ბეწვეულის და ქურქნედლეულის დამზადების გადიდების შესახებ“;

— მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 დეკემბრის № 670 დადგენილებისა „სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოების, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისადმი მოსახლეობისათვის მისაყიდი ახალი საქონლისა და სუვენირების გამოშვების შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 29 სექტემბრის № 954 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი (კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადასახლებული ოჯახების საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლების ნაწილში) და მე-19 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (გადასახლებულთათვის საშემოსავლო გადასახადის ნარჩენების ჩამოწერის ნაწილში) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 364 დადგენილებისა „გადასახლება-დასახლების შეღავათების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 აგვისტოს № 514 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჩითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი. 1983 წ. 28 ნოემბერი. № 763

## 86 საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულებაში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის წინადადება და შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 29 ივნისის № 437 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის დებულებაში შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

— მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით: „საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში შედიან საწარმოო გაერთიანებანი, ღვინის კომბინატები, ღვინის ქარხნები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ექვემდებარებიან ამ კომიტეტს“;

— მე-15 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი: „შექმნის კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ძირი-

თადი და საბრუნავი სახსრების საწესდებო ფონდს, რომლის ოდენობა აისახება ბალანსში".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჩითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 13 დეკემბერი, № 795

## 87 საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

„საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 18 ივლისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით და რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. უფლება მიეცეთ სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომებს მოახდინონ, როგორც გამონაკლისი, 1974 წლის სექტემბრამდე თვითნებურად აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (მათი ნაწილების) სამართლებრივი რეგისტრაცია, თუ მიზანშეუწონელია დადგენილი წესით მათი უსასყიდლოდ ჩამორთმევა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ფონდში ჩარიცხვა ან დანგრევა და თუ მათი სასარგებლო ფართობი არ აღემატება 136 კვადრატულ მეტრს, აქედან საცხოვრებელი ფართობი — 96 კვადრატულ მეტრს, აგრეთვე გაუფორმონ სათანადო წესით მიწის ნაკვეთების გამოყოფა (ქალაქებში, სადაც დაშვებულია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა) იმ თვითნებურ ამშენებლებს, რომლებმაც ააგეს საქალაქო განაშენიანების მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები (მათი ნაწილები) 1974 წლის სექტემბრამდე.

2. სახალხო დეპუტატთა საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომებმა:

ა) აცნობონ თვითნებურად აშენებული იმ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (მათი ნაწილების) მფლობელებს, რომლებიც არ შეესაბამებიან ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს, რომ:

— მათ შეუძლიათ იცხოვრონ ამ სახლებში (მათს ნაწილებში) მანამ, სანამ საჭირო არ გახდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის იმ მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა, რომლებზეც აგებულია აღნიშნული სახლები (მათი ნაწილები);

— მათ უფლება არა აქვთ გაასხვისონ რაიმე ფორმით ეს სახლები (მათი ნაწილები);

— მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების ჩამორთმევისას აღნიშნულ ნაკვეთებზე არსებული თვითნებურად აშენებული სახლების (მათი ნაწილების) და ხილ-კენკროვანი ნარგავების ღირებულება არ ანაზღაურდება;

ბ) ნება დართონ თვითნებურ ამშენებლებს ჩაატარონ კაპიტალური რემონტი სახლის ძლიერავარიული ნაწილების აღდგენით არსებულ გაბარიტებში სამზარეულოებისა და სანიტარიული კვანძების მოწყობით (მიშენებით), ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სხდომაზე გულდასმით განხილვის შემდეგ;

გ) ნება დართონ მიეცეთ თვითნებურად აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (მათი ნაწილების) მფლობელებს დროებითი საბინაო დავთრები იქ მცხოვრებ მობინადრეთა აღსარიცხად;

დ) გულდასმით განიხილონ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სხდომაზე ცალ-ცალკე საქმეები თითოეული კონფისკებული, თვითნებურად აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის (მისი ნაწილის) შესახებ და კონკრეტული პირობების გათვალისწინებით მიიღონ გადაწყვეტილება კომუნალური მომსახურებისათვის რენტაბელური მშენებლობადაუმთავრებელი კონფისკებული სახლების (მათი ნაწილების) მშენებლობის დამთავრების შესახებ, რომელთა მობინადრეებს არ შეუძლიათ თვითონ დაამთავრონ მათი მშენებლობა და თანახმა არიან მშენებლობა დამთავრდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სახსრებით. თუ მობინადრენი უარს ამბობენ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის (მათი ნაწილის) მშენებლობა დამთავრდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სახსრებით და იმ შემთხვევებში, როცა კონფისკებული სახლების (მათი ნაწილების) ექსპლუატაცია სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საბინაო ორგანოების მიერ აშკარად არარენტაბელურია, ისინი რჩება მათ ამშენებელ მოქალაქეთა სარგებლობაში ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირობებით;

ე) გამოუყონ დადგენილი წესით იმ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (მათი ნაწილების) თვითნებურ ამშენებლებს, რომლებიც არ შეესაბამებიან ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს, მათი მდგომარეობა ძლიერ ავარიულია და აღდგენა დაუშვებელია ქალაქთმშენებლობის მოსაზრებებით, მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის (ქალაქებში, სადაც დაშვებულია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა);

ვ) უზრუნველყონ ქმედითი კონტროლი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განხორციელების დადგენილი წესის დაცვისადმი მათი საქვეუწყებო ტერიტორიების მილიციის, მშრომელთა აქტივისა და პენსიონერთა ძალებით რეგულარული შემოვლის გზით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (მათი ნაწილების) თვითნებური მშენებლობის შემთხვევების აღკვეთისა და კანონით დაწესებული ზომების მიღების მიზნით;

ზ) აცნობონ საქართველოს სსრ სახმშენს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (მათი ნაწილების) თვითნებური მშენებლობის ფაქტები, თუ ადგილი ჰქონდა ასეთ ფაქტებს, და მათი ლიკვიდაციისათვის მიღებული ზომები.

3. სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა მუშაკები ცხოვრობენ თვითნებურად აშენებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში (მათ ნაწილებ-

ში), რომლებიც არ შეესაბამებიან ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს და ავარიული მდგომარეობის გამო უნდა დაინგრეს, და არ გააჩნიათ მუდმივი ცხოვრებისათვის ვარგისი სხვა საცხოვრებელი, მისცენ მათ საცხოვრებელი ფართობი დადგენილი წესით.

4. საქართველოს სსრ სახმშენმა დააწესოს კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი, აგრეთვე განაზოგადოს ადგილებიდან მიღებული ცნობები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (მათი ნაწილების) თვითნებური მშენებლობის შესახებ და ყოველწლიურად პირველ კვარტალში წარმოუდგინოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანის შესახებ.

6. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1983 წ. 23 დეკემბერი, № 806

## 88 ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხებზე საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ მომზადდა საქართველოს სსრ კანონთა წიგნის III კარი — „კანონმდებლობა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1983 წ. 24 დეკემბერი, № 828

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 24 დეკემბრის № 828 დადგენილებით

## ნუსხა

### საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს იმასთან დაკავშირებით, რომ მომზადდა საქართველოს სსრ კანონთა წიგნის III კარი — „კანონმდებლობა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ“

1. მე-10 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 25 ნოემბრის № 1243 დადგენილებისა „1937-1938 წლების საშემოდგომო-საზამთრო ხე-ტყის დამზადების გეგმისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ (საქართველოს სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1937 წ., № 22, მუხ. 161);

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 8 თებერვლის № 189 დადგენილება „ნუტრიაზე ნადირობის ნებადართვის შესახებ“ (საქართველოს სსრ კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1938 წ. № 5, მუხ. 23);

3. 1-ლი და მე-2 პუნქტები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 2 ივლისის № 969 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1943 წლის 23 აპრილს „სსრ კავშირის სახელმწიფო ფონდის ტყეებში ტყესაკაფების გამოყოფის წესისა და 1943 წლის ტყესაკაფის გამოყოფის წესისა და 1943 წლის ტყესაკაფის ფონდის შესახებ“ მიღებული № 430 დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე“;

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 22 სექტემბრის № 1381 დადგენილება „საქსარეწტყეკავშირის, თბილსათბობისა და ცეკავშირის მიერ დამზადებული შეშის დროებითი გასაყიდი ფასების დამტკიცების შესახებ“;

5. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 23 აგვისტოს № 958 დადგენილებისა „საავტომობილო გზების მომიჯნავე სატყეო მასივებში საცავი ზოლების გამოყოფის შესახებ“;

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 7 მარტის № 286 დადგენილება „საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო მეურნეობათა მიერ ტყის მოვლის წესით დამზადებული შეშის გასაცემი ფასების შესახებ“;

7. მე-7 და მე-8 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 10 ივნისის № 567 დადგენილებისა „ხანძრისაგან ტყეების დაცვის ღონისძიებათა შესახებ“;

8. მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 1 ივნისის № 575 დადგენილებისა „1948 წელს ხანძრებისაგან ტყეების დაცვის ღონისძიებათა შესახებ“;

№ 6

9. მე-12 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 23 მაისის № 635 დადგენილებისა „1950 წელს ხანძრებისაგან ტყეების დაცვის ღონისძიებათა შესახებ“;

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 24 ოქტომბრის № 1496 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სატყეო-სანიხრე თანრიგების მიხედვით ტყეების განაწილებისა და ხე-ტყის დაცურების რაიონების ნუსხის დაზუსტების შესახებ“;

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 28 აგვისტოს № 1175 დადგენილება „საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სატყეო მეურნეობების მიერ გამოშვებული მერქნის გადამუშავების ნაწარმის გასაცემი ფასების დამტკიცების შესახებ“;

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 4 ნოემბრის № 1732 დადგენილება „გზის შემომვლელების და რკინიგზის ხაზების დარაჯთა, მებაკენეებისა და ტყის დაცვის მუშაკთათვის მიწის სამსახურებრივი ნაკვეთების ზომის დადგენის შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 3 ოქტომბრის № 1861 დადგენილების დარღვევის შესახებ“;

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 29 იანვრის № 80 დადგენილება „ტყეების ჯგუფებად და ქვეჯგუფებად დაყოფისა და ტყის ჭრის წესების შესახებ საქართველოს სსრ ტყეებში“;

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 28 აგვისტოს № 549 დადგენილება „საქართველოს სსრ გეოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ“;

15. „საქართველოს სსრ სახელმწიფო ტყეების დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 მარტის № 182 დადგენილების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი;

16. მე-4 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 ივლისის № 473 დადგენილებისა „ტყის მავნებლის — ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“;

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 16 იანვრის № 41 დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული სათიბ-საძოვარი და სახნავი ფართობების გამოყენების შესახებ“;

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აგვისტოს № 548 დადგენილება „საქართველოს სსრ გეოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის მოწესრიგების შესახებ“;

19. „ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 25 ნოემბრის № 671 დადგენილების მე-4 პუნქტის მესამე აბზაცის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტები;

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 19 თებერვლის № 96 დადგენილება „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების შემოღების შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. მე-2 და მე-9 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 5 ოქტომბრის № 617 დადგენილებისა „ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“;

22. მე-7 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 29 ივლისის № 400 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ტყეების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“;

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 24 მაისის № 271 დადგენილება „საქართველოს სსრ ძირითადი ტყისშემქმნელი მერქნის ჯიშებისათვის ტყის ჭრის ოპტიმალური ასაკის დამტკიცების შესახებ“;

24. მე-6 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 12 ოქტომბრის № 529 დადგენილებისა „ნადირობის წესების დარღვევებთან ბრძოლის გაძლიერების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.

## 89 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 21 ოქტომბრის № 1015 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„მიწის კანონმდებლობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 21 ოქტომბრის № 1015 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში შეტანილი თანდართული ცვლილებანი.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილება „მოქალაქეთა კუთვნილი იმ შენობების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებულ უნდა იქნენ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის თაობაზე“.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 21 ოქტომბრის № 1015 დადგენილებით შეტანილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 სექტემბრის № 516 დადგენილებით დაგზავნილი „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფისას მიწათმოსარგებლეთათვის ზარალისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგების ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 9 აგვისტოს № 636 დადგენილების მე-4 პუნქტში შემდეგი ცვლილებანი:

ა) პირველ აბზაცში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 და 1966 წლის 16 აგვისტოს № 651 დადგენილებებით" შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილებით";

ბ) მეხუთე აბზაცში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 აგვისტოს № 651 დადგენილების მე-6 პუნქტის" შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1133 დადგენილების მე-10 პუნქტის".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე დ. ქართველიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1983 წ. 24 დეკემბერი, № 829

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 24 დეკემბრის № 829 დადგენილებით

## ცვლილებანი,

**რომლებიც შეიტანება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში**

I. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილებაში „მოქალაქეთა კუთვნილი იმ შენობების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებულ უნდა იქნენ ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით" ცვლილებანი და დამატებანი, და ჩამოყალიბდეს ეს დადგენილება შემდეგი რედაქციით:

**„სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით ასალები მოქალაქეთა კუთვნილი საცხოვრებელი სახლების, სხვა ნაგებობებისა და მოწყობილობების ღირებულების ანაზღაურების და საცხოვრებელი ფართობით მათი უზრუნველყოფის წესის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრე-

ბელი სახლების აღების შემთხვევაში აღნიშნულ მოქალაქეებს, მათი ოჯახების წევრებს, აგრეთვე სხვა მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ამ სახლებში, მიეცემათ დაწესებული ნორმების მიხედვით ბინები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში. ბინები უნდა იყოს კეთილმოწყობილი მოცემული დასახლებული პუნქტის პირობების მიხედვით და შეესაბამებოდეს დაწესებულ სანიტარიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს. გარდა ამისა, საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებს მათი არჩევანით ან აუნაზღაურდებათ ასაღები სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობების ღირებულება, ანდა მიეცემათ უფლება თავიანთი შეხედულებისამებრ გამოიყენონ ამ სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობების დაშლის შედეგად მიღებული მასალები. მოქალაქეთა სურვილისამებრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები უზრუნველყოფენ მათ (ბინების მიცემის ნაცვლად) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებად რიგგარეშე შესვლის და ამ კოოპერატივებში ბინების მიღების შესაძლებლობას.

მოქალაქეთა სურვილისამებრ მათი კუთვნილი ასაღები საცხოვრებელი სახლები და ნაგებობები შეიძლება გადატანილ და აღდგენილ იქნეს ახალ ადგილზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებულ შემთხვევებში მოქალაქეთათვის, რომელთა სახლებიც აღებულ უნდა იქნეს, მათი სურვილისამებრ აშენდება ახალ ადგილზე საცხოვრებელი სახლები, ნაგებობანი და მოწყობილობანი და გადაეცემათ ამ მოქალაქეებს პირად საკუთრებაში. ამასთან ასაღები საცხოვრებელი სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობების ღირებულება არ ანაზღაურდება.

2. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობების აღებისას მათ აუნაზღაურდებათ აგრეთვე ხილ-კენკროვანი ნარგავებისა და ნათესების ღირებულება.

3. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების აღება შეიძლება დაშვებულ იქნეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხოლოდ — შესაბამისად — აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის. ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, გორის, ფოთისა და ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ნებართვით, ხოლო ყველა სხვა ქალაქში, დაბასა და დასახლებულ პუნქტში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა არ დაუშვან საცხოვრებელი სახლების დაუსაბუთებელი აღება ახალი მშენებლობის განხორციელებისას.

4. ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო ან კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის (საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების გარდა) მიწის ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვეთების გამოყოფისას მოქალაქეებს ბინებს მისცემენ ეს საწარმოები. დაწესებულებები და ორგანიზაციები.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის დანარჩენ შემთხვევებში, მათ შორის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის მათი გამოყოფისას, მოქალაქეებს ბინებს მისცემენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები.

5. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით ასაღები მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობების, აგრეთვე ხილ-კენკროვანი ნარგავებისა და ნათესების ღირებულებას მოქალაქეებს აუნაზღაურებენ სახელმწიფო ან კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები (საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების გარდა), რომლებსაც გამოეყოფათ მიწის ნაკვეთები.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის დანარჩენ შემთხვევებში, მათ შორის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის მათი გამოყოფისას, მოქალაქეთა პირადი საკუთრების ასაღები საცხოვრებელი სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობების, აგრეთვე ხილ-კენკროვანი ნარგავებისა და ნათესების ღირებულებას აანაზღაურებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები.

6. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით ასაღები საცხოვრებელი სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობების ღირებულება განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 2 ოქტომბრის № 961 დადგენილებითა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 21 აპრილის № 287 დადგენილებით გათვალისწინებული წესით დამტკიცებული შეფასებითი ნორმების მიხედვით, ამ სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობების ცვეთის გათვალისწინებით.

დაწესდეს, რომ უნდა ანაზღაურდეს კანონით დადგენილი ნორმების ფარგლებში მოქალაქეთათვის გამოყოფილ ნაკვეთებზე არსებული ხილ-კენკროვანი ნარგავებისა და ნათესების ღირებულება.

არ ანაზღაურდება მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე არსებული ხილ-კენკროვანი ნარგავებისა და ნათესების ღირებულება, რომელიც კანონით დადგენილ ნორმებს აღემატება.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეებს მრავალწლოვანი ნარგავებისა და ნათესების ღირებულება აუნაზღაურდებათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 იანვრის № 3 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

7. ასაღები საცხოვრებელი სახლების, ნაგებობებისა და მოწყობილობების, ხილ-კენკროვანი ნარგავებისა და ნათესების ღირებულების განსაზღვრისათვის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომები ქმნიან კომისიებს შემდეგი შემადგენლობით: სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომის წევრი (კომისიის თავმჯდომარე), აღმასკომის საფინანსო და კომუნალურ განყოფილე-

ბათა წარმომადგენლები, მიწების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო რაიონული ინსპექტორი, სახალხო დეპუტატთა სასოფლო (სადაბო) საბჭოს წარმომადგენელი, მიწათმოსარგებლე, რომელსაც უნდა ჩამოერთვას მიწის ნაკვეთი, იმ საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელსაც გამოეყოფა მიწის ნაკვეთი, აგრეთვე სხვა ორგანოთა წარმომადგენლები სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომის შეხედულებისამებრ.

კომისიის გადაწყვეტილებას დაამტკიცებს — შესაბამისად — სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომი.

8. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება ასაღები საცხოვრებელი სახლების, ნაგებობების, მოწყობილობების, აგრეთვე ხილ-კენკროვანი ნარგავებისა და ნათესების ღირებულების განსაზღვრის შესახებ მისი ჩაბარების დღიდან 10 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქის (რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში), ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომში, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. აღნიშნულ ორგანოთა გადაწყვეტილებანი საბოლოოა.

9. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლებისა და ნაგებობების ახალ ადგილზე გადატანა და აღდგენა ხდება იმ სახელმწიფო ან კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახსრების ხარჯზე (საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების გარდა), რომელთაც გამოეყოფათ მიწის ნაკვეთები. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის დანარჩენ შემთხვევებში, მათ შორის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის მათი გამოყოფისას, საცხოვრებელ სახლებსა და ნაგებობებს გადაიტანენ და აღადგენენ შესაბამისი სამშენებლო ორგანიზაციები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სახსრების ხარჯზე.

აღნიშნული საცხოვრებელი სახლები და ნაგებობები შეიძლება გადატანილ იქნეს ახალ ადგილზე მოცემული პუნქტის ფარგლებში. გადატანა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულია ამ ადგილზე მიწის ნაკვეთების გამოყოფა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის, და იმ პირობით, თუ საცხოვრებელი სახლებისა და ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა საშუალებას იძლევა განხორციელდეს მათი გადატანა. გადატანის შესაძლებლობას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრავს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომი დაინტერესებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა, აგრეთვე ასაღები საცხოვრებელი სახლებისა და ნაგებობების მესაკუთრეთა მონაწილეობით.

ახალ ადგილზე საცხოვრებელი სახლებისა და ნაგებობების აღდგენისას იმ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით, რომლებმაც განახორციელეს გადატანა, შეიძლება შესრულდეს მათი რემონტის დამატებითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოები საცხოვრებელი სახლებისა და ნაგებობების მესაკუთრეთა სახსრების ხარჯზე.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, რომელთა სახსრების ხარჯზეც ხორციელდება საცხოვრებელი სახლების გადატანა და აღდგენა ახალ ადგილზე, მისცემენ სახლების მესაკუთრეებს, მათი ოჯახების წევრებსა და სხვა მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ამ სახლებში, საცხოვრებელ ფართობს საცხოვრებელი სახლების ახალ ადგილზე გადატანისა და აღდგენის სამუშაოთა წარმოების დროისათვის“.

II. „მიწით სარგებლობის უფლებაზე სახელმწიფო აქტების მიწათმოსარგებლეთათვის მიცემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 21 ნოემბრის № 683 დადგენილებაში სიტყვები: „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ“, „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ“, „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს“, „მშრომელთა დეპუტატების“ შეიცვალოს — შესაბამისად — სიტყვებით: „საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიერ“, „საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა“, „საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს“, „სახალხო დეპუტატთა“.

III. შეტანილ იქნეს „სასარგებლო წიაღისეულისა და ტორფის საბადოთა დამუშავების, გეოლოგიურ-საზვერ, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა წარმოების დროს მიწების რეკულტივაციის, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნებისა და რაციონალური გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 7 ოქტომბრის № 703 დადგენილების 1-ლ პუნქტში შემდეგი ცვლილებანი:

ა) „ა“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებულ“, ხოლო ამავე ქვეპუნქტის მესამე აბზაცში სიტყვები: „ხოლო ეკონომიკური მიზანშეწონილობის შემთხვევაში — ნაკლებპროდუქტიულ სავარგულებზეც“ შეიცვალოს სიტყვებით: „ან ნაკლებპროდუქტიულ სავარგულებზე“;

ბ) „ა“ ქვეპუნქტის მეოთხე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სარეკულტივაციო მიწების ნაყოფიერების აღდგენას სოფლის ან სატყეო მეურნეობაში გამოსაყენებლად ახორციელებენ მიწათმოსარგებლენი, რომელთაც გადაეცემათ (უბრუნდებათ) მიწები, ამ მიწებზე ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებული სამუშაოების მწარმოებელ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სახსრების ხარჯზე“.

---

## 90 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1983 წ. 30 დეკემბერი, № 848

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 30 დეკემბრის № 848
დადგენილებით

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის შესახებ**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისია შექმნილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის შექმნისა და საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და ფუნქციების შეცვლის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 11 ოქტომბრის № 682 დადგენილებით.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებების და „სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მართვის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 433 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიას ეკისრება შემდეგი ძირითადი ამოცანები:

ა) კოორდინაცია გაუწიოს აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობას, გადაწყვიტოს წამოჭრილი დარგთაშორისი პრობლემები, გამოავლინოს და უზრუნველყოს დამატებითი რეზერვების გამოყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სასურსათო საქონლის წარმოების გასადიდებლად, მათი ხარისხის ასამაღლებლად და ასორტიმენტის გასაფართოებლად;

ბ) განახორციელოს კონტროლი იმისადმი, რომ აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალმა საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა შეასრულონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობისა და მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების საკითხებზე, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებით დაწესებული დავალებანი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებისა და საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში მისი მიწოდების, კვების მრეწველობის დარგების პროდუქციის წარმოების, მისი ხარისხის ამაღლების და მომხმარებელთათვის გაგზავნის დავალებანი, აგრეთვე განახორციელოს კონტროლი აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებისათვის მანქანების, მოწყობილობის, ქიმიზაციის საშუალებების, ტარისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიწოდების დავალებათა შესრულებისადმი, ამ დარგებში ობიექტების მშენებლობის, საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმების შესრულების მიმდინარეობისადმი;

გ) განახორციელოს კონტროლი აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში არსებული ძირითადი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების, აგრეთვე კაპიტალური დაბანდებების რაციონალური გამოყენებისადმი;

დ) განახორციელოს კონტროლი აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა სისტემაში ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მასობრივი პროფესიების მუშათა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისადმი, აგრეთვე სოფლის მოსახლეობის საბინაო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებისადმი;

ე) წინასწარ განიხილოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ მომზადებული მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსისა და მასში შემავალი დარგების განვითარების წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტები, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგების პროდუქციის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების განაწილების ბალანსებისა და გეგმების პროექტები, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მიხედვით მიზნობრივი კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების პროექტები;

ვ) მოამზადოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით წინადადებანი აგროსამრეწველო კომპლექსის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისია მისთვის დაკისრებული ამოცანების წარმატებით შესრულების მიზნით:

ა) განიხილავს თავის სხდომებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების, მისი დამზადებისა და საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში მიწოდების მიმდინარეობის, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგების პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საკითხებს და მიიღებს საჭირო ზომებს დაწესებული გეგმებისა და დავალებების შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ, პროდუქციის დაცვა-შენახვის უზრუნველსაყოფად და მისი დანაკარგების თავიდან ასაცილებლად;

ბ) მოისმენს კომისიის სხდომებზე საქართველოს სსრ სამინისტროთა, უწყებათა და სხვა ორგანიზაციათა ანგარიშებს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებისათვის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიწოდების გეგმებისა და დავალებების შესრულების შესახებ და საჭიროების კვალობაზე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმომარაგების, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის და აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების წინადადებათა მიხედვით მიიღებს გადაწყვეტილებებს მათი მოცულობისა და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონისათვის მიწოდების ვადების შეცვლის შესახებ ამინდისა და სხვა პირობების შესაბამისად, მიმდინარე წელს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების განვითარებისათვის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში;

გ) სისტემატურად შეაჯამებს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროში მუშაობის შედეგებს, განიხილავს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის განხორციელების წესით საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების და სხვა ორგანიზაციების მუშაობის საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს სსრ სასურსათო პროგრამის რეალიზაციასთან, სამეურნეო ურთიერთობაში სოციალისტური კანონიერების დაცვასთან, და მიიღებს ზომებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) მიიღებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმომარაგებისა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის წინადადებათა მიხედვით გადაწყვეტილებებს აგროსამრეწველო კომპლექსისათვის დამატებით გამოყოფილი მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, ტექნიკის, ნავთობპროდუქტებისა და სხვა რესურსების აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქსა და რაიონებს შორის განაწილების შესახებ;

ე) შეიტანს წინადადებებს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების განვითარების წლიური და პერსპექტიული გეგმების შესამუშავებელი პროექტების დაზუსტების შესახებ, მათი პროპორციული და შეწონასწორებული განვი-

თარების უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგების პროდუქციის განაწილების ბალანსებისა და გეგმების პროექტების დაზუსტების შესახებ;

ვ) წინასწარ განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შესატან ნორმატიული აქტების პროექტებს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ზ) მიიღებს საჭირო შემთხვევებში გადაწყვეტილებებს საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების წინადადებებზე, რომლებიც შეეხება რესპუბლიკის ფარგლებში სარეალიზაციო მალფუჭებადი (ახალი) პროდუქციის (ბოსტნეული, ხილი, კენკროვანი, საადრეო კარტოფილი) შესასყიდი და საცალო ფასების სეზონურ რეგულირებას, ამ პროდუქციაზე მოთხოვნისა და მიწოდების გათვალისწინებით;

თ) განიხილავს წინადადებებს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფის, დარგთაშორისი საწარმოოეკონომიკური კავშირურთიერთობის გაღრმავებისა და განვითარების, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების სამეურნეოანგარიშიანი საქმიანობისათვის საჭირო ეკონომიკური და სამართლებრივი პირობების შექმნის, აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის გაუმჯობესების შესახებ;

ი) განახორციელებს კონტროლს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ ნამუშევართა რეალიზაციისადმი, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების დანერგვისადმი;

კ) განიხილავს საწარმოთა და ორგანიზაციათა დამხმარე სასოფლო მეურნეობების, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების შემდგომი განვითარების საკითხებს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიიღება მისი კომპეტენციის ფარგლებში, სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისათვის, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის.

კომისიის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის პრაქტიკულ მუშაობაში იგი ემყარება საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში შედიან და ამ კომპლექსს ემსახურებიან, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, რაიონების (ქალაქების) აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოებს, ამასთან კოორდინაციასა და კონტროლს უწევს მათს საქმიანობას სასოფლო-სამეურნეო

წარმოების შემდგომი აღმავლობისა და მთლიანად აგრსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემათა გადაჭრასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისია თავის სხდომებს ატარებს რეგულარულად თვეში ერთხელ მაინც. კომისიის წევრები მის სხდომებში მონაწილეობენ შეცვლის უფლების გარეშე.

კომისიის სხდომებში მონაწილეობენ აგრეთვე საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები ან მათი მოადგილეები. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების აგროსამრეწველო კომპლექსების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების წარმომადგენელთა, შესაბამისი აგროსამრეწველო გაერთიანებების საბჭოების თავმჯდომარეთა მონაწილეობით.

კომისიის გადაწყვეტილებანი ეგზავნებათ შესაბამის ორგანიზაციებს კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერის სახით, გარდა იმ გადაწყვეტილებებისა, რომლებიც უნდა გაფორმდეს დადგენილი წესით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ან განკარგულებით.

კომისიის სხდომებს შორის პერიოდში გადაწყვეტილებებს ოპერატიული ხასიათის საკითხებზე მიიღებს კომისიის თავმჯდომარე, და ისინი შემსრულებლებს დაეგზავნებათ შესაბამისი მითითებით.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის მუშაობა ხორციელდება კომისიის მიერ დამტკიცებული გეგმების მიხედვით.

შესაბამის საკითხთა განსახილველად მომზადებისათვის კომისია მიიზიდავს აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალ სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმომარაგების, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფებს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას და საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები კომისიის სხდომებზე განსახილველად საკითხთა მომზადებისას წარუდგენენ კომისიას შესაბამის მასალებს დადგენილ ვადებში.

ინდექსი—76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6, 1983 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VIII-83 წ. ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_{16}$,
საბეჭდი თაბახი 4,5, სააღრიცხვო თაბახი 4,5

შეკვეთა № 70 უე 07869 ტირაჟი 1630

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.